



საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

ბელნაწერის უფლებით

ლევან ზესელია

თანდართული პათოლოგიებით მიმდინარე COVID – 19–ის გამოსავალი

ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

მაია ცინცაძე – ასოცირებული პროფესორი

2024

ს ა რ ჩ ე ვ ი

შემოკლებები	3
შესავალი.....	6
თავი 1.....	11
ლიტერატურული მიმოხილვა	11
თავი II.....	30
კვლევის მასალა და მეთოდები	30
თავი III.....	39
საკუთარი კვლევის შედეგები	39
3.1. კლინიკური მასალის დახასიათება.....	39
3.2. კორელაციები პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებსა და გართულებებს შორის	50
3.3. ლაბორატორიული მახასიათებლების შეფასება COVID-19-ის დროს დინამიკაში.....	60
3.4. ლეტალობის ფაქტორების შეფასება პაციენტის ინიციალური მახასიათებლების მიხედვით.....	66
3.5. ლეტალობის ლაბორატორიული მახასიათებლების შეფასება	78
3.6. ბიომარკერების დიაგნოსტიკური მახასიათებლების შეფასება COVID 19-ის დროს	85
3.7. გადარჩენის ალბათობის შეფასება თანმხლები პათოლოგიების მქონე რენიმაციულ პაციენტებში	110
თავი IV.....	112
მიღებული შედეგების განხილვა	112
დასკვნები.....	119
პრაქტიკული რეკომენდაციები.....	121
ლიტერატურა	122

შ ე მ ო კ ლ ე ბ ე ბ ი

COVID-19	– კორონავირუსული დაავადება - 19
SARS-CoV-2	– მწვავე რესპირატორული სინდრომის კორონავირუსი – 2
SARS	– მძიმე მწვავე რესპირაციული სინდრომი
MERS	– შუა აღმოსავლეთის რესპირაციული სინდრომი
მრდს	– მწვავე რესპირაციული დისტრეს სინდრომი
ფქოდ	– ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება
ფ.ხ.ვ	– ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია
ჯანმო	– ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
EEG	– ელექტროენცეფალოგრამა
ARDS	– მწვავე რესპირაციული დისტრეს სინდრომი
HF	– გულის უკმარისობა
WBC	– ლეიკოციტები
RBC	– ერითროციტები
Hb	– ჰემოგლობინი
PLT	– თრომბოციტების რაოდენობა
HCT	– ჰემატოკრიტი
LYM	– ლიმფოციტები,
NEU	– ნეიტროფილები,
PT	– პროთრომბინის დრო
PI	– პროთრომბინის ინდექსი
CRP	– C-რეაქტიული ცილა
PCT	– პროკალციტონინი
TT	– თრომბინის დრო
APTT	– გააქტიურებული ნაწილობრივი თრომბოპლასტინის დრო
LDH	– ლაქტატდეჰიდროგენაზა
ALT	– ალანინ ამინოტრანსფერაზა

AST	– ასპარტატ ამინოტრანსფერაზა
GGT	– გამა-გლუტამილ ტრანსპეპტიდაზა
pH	– წყალბადის პოტენციალი
pCO ₂	– ნახშირბადის დიოქსიდის პარციალური წნევა
pO ₂	– ჟანგბადის პარციალური წნევა
Beecf	– ბაზის ჭარბი უჯრედგარე სითხეში
HCO ₃	– ბიკარბონატი,
SpO ₂	– ჟანგბადის სატურაცია
Na	– ნატრიუმი
K	– კალიუმი
Ca იონური	– კალციუმის იონური
Cl	– ქლორიდები

ტერმინოლოგია:

მძიმე მწვავე რესპირაციული ინფექცია (მმრი) – უკანასკნელი 10 დღის განმავლობაში განვითარებული მწვავე რესპირაციული დაავადება, რომელსაც ახასიათებს: ტემპერატურა $\geq 38^{\circ} \text{C}$, ხველა და ჰოსპიტალიზაციის საჭიროება.

მძიმე მწვავე რესპირაციული სინდრომი (მმრს/ SARS) – SARS-CoV-ით გამოწვეული მმრი, რომლის დროსაც ხშირად ვითარდება ატიპიური პნევმონია და მწვავე რესპირაციული დისტრეს სინდრომი.

მწვავე რესპირაციული დისტრეს სინდრომი (მრდს) – ფილტვის შეშუპებით განპირობებული მწვავე ჰიპოქსემიური რესპირაციული უკმარისობა გულის უკმარისობის გარეშე, რაც გამოწვეულია ალვეოლების კაპილარული განვლადობის მატებით.

ტიპიური პნევმონია – ტიპიურია პნევმონია, როდესაც ანთებით კერაში ფილტვის ალვეოლები ივსება ექსუდატით და ბლოკირდება ჟანგბადის მიმოცვლა. ტიპიური პნევმონია მიმდინარეობს სიციხით, პროდუქტიული ხველით, სუნთქვის გაძნელებით, ლეიკოციტოზით და რენტგენოლოგიურად ვლინდება მკვეთრად შემოსაზღვრული დაჩრდილვა. იგი კარგად ექვემდებარება ყოფით პირობებში შეძენილი პნევმონიის სამკურნალო ანტიბიოტიკოთერაპიას.

ათიპიური პნევმონია – ატიპიურია პნევმონია, როდესაც ალვეოლების მიმდებარე ქსოვილი შუბდება და ალვეოლები იჭმუხნება. შედეგად მცირდება სისხლის მიმოქცევა და ჟანგბადის მიმოცვლა. რენტგენოლოგიურად ვლინდება არამკაფიო დაჩრდილვა მკვეთრი საზღვრების გარეშე. ტიპიურისგან განსხვავებით ატიპიური პნევმონია ხასიათდება თანდათანობითი დასაწყისით, მშრალი ხველით და რენტგენოლოგიურად არაშემოსაზღვრული, არამკაფიო დაჩრდილვით, რომელსაც ხშირად თან ახლავს შეუსაბამოდ მწირი ფიზიკალური მონაცემები.

ციტოკინური შტორმი – ორგანიზმის მიერ ანთებადი მოლეკულების დიდი რაოდენობით, ჭარბად გამოთავისუფლება, რაც შესაძლოა პოლიორგანული უკმარისობისა და სიკვდილის მიზეზად იქცეს. ნორმის ფარგლებში ეს რეაქცია ორგანიზმის იმუნური პასუხის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

შესავალი

თემის აქტუალობა

ახალი კორონავირუსით, SARS-CoV-2 -ით გამოწვეული ინფექცია – COVID-19 - მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომი – 2020 წლის 11 მარტს ჯანმოს მიერ გამოცხადდა პანდემიად, რომელიც 2023 წლის მაისამდე გაგრძელდა. ინფექციის პირველი შემთხვევები გამოვლინდა 2019 წლის დეკემბერს ქ. უჰანში, ჩინეთში. ჯანმოს მონაცემებით, პანდემიის პერიოდში, მსოფლიოში დაინფიცირდა 689 მლნ-ზე მეტი ადამიანი, მათგან 6,9 მლნ მოკვდა [121]. რაც შეეხება საქართველოს, გამოვლინდა SARS-CoV-2-ით ინფიცირების 1 855 289 დადასტურებული შემთხვევა, რომელთაგან გარდაიცვალა 17 132 პაციენტი [62].

კვლევებით დადასტურდა, რომ COVID-19 შესაძლოა მიმდინარეობდეს მსუბუქად, საშუალოდ ან მძიმედ. ასევე შესაძლებელია უსიმპტომო და სუბკლინიკური ფორმებიც. კვლევებმა აჩვენეს, რომ დაავადების საშუალო და მძიმე მიმდინარეობის მქონე COVID-19-ით პაციენტებში განვითარებულმა ანთებითმა რეაქციამ, ე.წ. „ციტოკინურმა შტორმმა“, შეიძლება გამოიწვიოს ორგანოთა ფუნქციების პირდაპირი დაზიანება, რაც შესაბამისად იწვევს სიცოცლისათვის საშიშ გართულებებს – დეკომპენსაციას, ორგანოთა დისფუნქციას და საბოლოოდ სიკვდილს [48].

ასევე, არაერთ კვლევაშია მითითებული, რომ გარდაცვლილ პაციენტთა უმრავლესობას აღენიშნებოდა სეპტიკური შოკი [56,58].

შესაბამისად, მძიმე მიმდინარეობის დაავადების განვითარების პოტენციალის გათვალისწინებით, გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება COVID-19-ით პაციენტებში დაავადების პროგრესირების ადრეულ შეფასებას.

დაავადების პროგრესირების შესაფასებლად აუცილებელია პაციენტებში ბიოლოგიური მარკერების მუდმივი მონიტორინგი. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კლინიკურ პრაქტიკაში, შეუძლიათ მიუთითონ სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობის განვითარება და გამოიყენებინან როგორც ინდიკატორები პაციენტის მონიტორინგისთვის [140], რაც მათ აქცევს ღირებულ ინსტრუმენტად კლინიკურ პრაქტიკაში მკურნალობის გადაწყვეტილებების წარმართვისა და

ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში (ICU) მიღების აუცილებლობის დასადგენად [18].

არაერთ კვლევაში ხაზგასმულია ზოგიერთი ბიომარკერის ცვლილებების მნიშვნელობა, რომლებიც დაკავშირებულია COVID-19-ის პროგრესირებასთან, განსაკუთრებით ინფექციის მძიმე მიმდინარეობის დროს. ეს ბიომარკერებია – ლეიკოციტების რაოდენობა (WBC), C-რეაქტიული ცილა (CRP), D-დიმერი, ინტერლეიკინ-6 (IL-6), ლაქტატდეჰიდროგენაზა (LDH), შარდოვანა და კრეატინინი, რომლებიც, როგორც წესი, მომატებულია COVID-19 დაავადების დროს [6].

დაავადების გამოსავლის რისკის ფაქტორების შესწავლა, რაც განხორციელდა ჩვენი კვლევის დროს, მნიშვნელოვანი და აუცილებელი მონაცემებია, რათა მომავალში გაიზარდოს პანდემიისადმი მზადყოფნა [10].

COVID-19 ინფექციის არაკეთილსაიმედო გამოსავალი განსაკუთრებით ხშირად აღინიშნება თანმხლები/ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებში. თუმცა სხვადასხვა კვლევების შედეგების მიხედვით, COVID-19-ით სიკვდილის რისკი, ასევე, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია პაციენტის ასაკზეც. ამიტომ ხანდაზმულობა და თანმხლები დაავადებები COVID-19-ის გართულებული მიმდინარეობის და ლეტალობის რისკ-ფაქტორებად იქნა მიჩნეული.

ხანდაზმული პაციენტები და პაციენტები ქრონიკული თანმხლები დაავადებებით, როგორც არის გულ-სისხლძარღვთა დაავადება, ჰიპერტენზია, დიაბეტი და ფილტვის ქრონიკული დაავადებები, ბევრად უფრო მიდრეკილნი არიან მძიმედ მიმდინარე COVID-19-ის განვითარების, დაავადების კრიტიკული და ფატალური შედეგებისკენ. ამ ფაქტორებს შორის კორელაციის დადგენამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს იმ მონაცემების გარკვევას, თუ რამდენად განსაზღვრავს COVID-19 ინფექცია ან უკვე არსებული ჯანმრთელობის მდგომარეობა პაციენტის სიკვდილს.

ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ შესწავლილი და დაზუსტებული კორელაცია სიკვდილის მიზეზობრიობისა და განვითარების მექანიზმის, ასევე, ფატალური შედეგის მქონე შემთხვევებში, თანმხლები დაავადებების სპექტრის ან სხვა რისკის ფაქტორების როლის შესახებ, რომელიც მოგვცემდა COVID-19 ინფექციის სახიფათო

ბუნების ზუსტი შეფასების და ფატალური შედეგების პროგნოზირების და თავიდან აცილების/პრევენციის საშუალებას [155]. ჩვენი კვლევის მონაცემები დაეხმარება მედიკებს როგორც პაციენტთა სწორი მკურნალობისა და მოვლის, ასევე, ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

კვლევის მიზანი:

კვლევის მიზანს წარმოადგენდა COVID-19-ის მიმდინარეობისა და გამოსავლის შესწავლა თანდართული პათოლოგიების მქონე ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში.

აღნიშნული მიზნის შესასრულებლად დავისახეთ შემდეგი ამოცანები COVID-19 ინფექციის მქონე ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში:

1. თანმხლები დაავადებების სიხშირისა და სტრუქტურის შესწავლა;
2. კორელაციების დადგენა COVID-19-ის გართულებებსა და თანმხლებ დაავადებებს შორის;
3. არაკეთილსაიმედო გამოსავლის რისკის ფაქტორთა შეფასება;
4. ანთებითი მარკერების მგრძნობელობის, სპეციფიურობისა და არაკეთილსაიმედო შედეგის პროგნოზული ღირებულების დადგენა;
5. COVID-19-ის გამოსავლის პროგნოზირება თანმხლები დაავადებების მქონე რეანიმაციულ პაციენტებში.

მეცნიერული სიახლე:

პირველად საქართველოს პოპულაციაში:

- დადგინდა თანმხლები დაავადებების სტრუქტურა, სიხშირე და სიმძიმე COVID-19 ინფექციის მქონე ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში;
- განისაზღვრა ლაბორატორიული მახასიათებლების/ბიომარკერების როლი COVID-19 ინფექციის გამოსავალში თანმხლები დაავადებების მქონე რეანიმაციულ განყოფილებაში მოთავსებულ პაციენტებში;

- შეფასდა სისხლის ანთებითი მარკერების მგრძობელობა, სპეციფიურობა, დიაგნოსტიკური და პროგნოზული ღირებულება COVID-19 ინფექციის გამოსავალში ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში;
- გამოვლინდა არაკეთილსაიმედო გამოსავლის პრედიქტორები და დადგინდა თითოეული მათგანის ხვედრითი წილი საერთო მონაცემში.

პრაქტიკული ღირებულება

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების და დასკვნების საფუძველზე შემუშავდა პრაქტიკული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანი იქნება COVID-19-ის გართულებების მქონე პაციენტების კლინიკური მართვის დროს და ხელს შეუწყობს ოპტიმალური მიდგომის შერჩევას ყოველი კონკრეტული პაციენტისათვის. კერძოდ, შესაძლებელი გახდება დროული და სწორი რეაგირებით სოცოცხლისათვის საშიში გართულებების თავიდან აცილება, რაც ასევე მნიშვნელოვანია ეპიდემიის მართვის მხრივაც.

კვლევის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების დანერგვა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პაციენტთა მკურნალობისა და მოვლის სერვისების გაუმჯობესებისათვის, არამედ მთლიანად ქვეყანაში COVID-19 ეპიდემიაზე ზეგავლენის მოხდენის კუთხითაც.

პუბლიკაციები:

დისერტაციის თემაზე დაბეჭდილია 4 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 1 საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში:

1. **Beselia L**, Tsintsadze M. Tsiklauri M. Taboridze I. Mortality Risk Assessment among Patients, Hospitalized for COVID-19. Georgian medical news.
2. **Beselia L**, Tsintsadze M. Correlations between chronic diseases and complications of covid-19 in hospitalized patients. The scientific heritage. 138.
3. **ლ. ბესელია**, მ. ცინცაძე, ი. თაბორიძე. CRP-ს დიაგნოსტიკური მახასიათებლების შეფასება კოვიდ-19-ის დროს თანმხლები დაავადებების მქონე პაციენტებში. ტატიშვილის სახელობის ქირურგიის ჟურნალი. N12

4. ლ. ზესელია, მ. ცინცაძე, ი. თაბორიძე. კოვიდ-19-ის ზოგიერთი დიაგნოსტიკური მახასიათებლის შეფასება თანმხლები დაავადებების მქონე პაციენტებში. სამეცნიერო ჟურნალი „სპექტრი“ 9 (1).

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა:

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 144 ნაბეჭდ გვერდს, შედგება შესავალის, ლიტერატურის მიმოხილვის, მასალისა და კვლევის მეთოდების აღწერის, საკუთარი კვლევის 7 ქვეთავის, მიღებული შედეგების განხილვის, დასკვნისა და პრაქტიკული რეკომენდაციებისაგან.

ნაშრომი ილუსტრირებულია () სურათით, 16 ცხრილითა და 25 დიაგრამით.

ლიტერატურის ნუსხა შედგება 161 წყაროსაგან.

თავი 1

ლიტერატურული მიმოხილვა

COVID-19 – კორონავირუსული დაავადების პანდემიამ, რომელიც გამოწვეული იყო SARS-CoV-2-ით და გამოვლინდა მძიმე, მწვავე რესპირატორული სინდრომით, ბოლო პერიოდში, მსოფლიოში, განაპირობა მოსახლეობის ავადობისა და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლები [53].

COVID-19-ის პანდემიამ, უამრავი გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა საზოგადოებას როგორც ჯანმრთელობის, ისე სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით.

SARS-CoV-2 არის კორონავირუსების ახალი სახეობა, რომელიც ადრე არ იყო გამოვლენილი ადამიანებში. კორონავირუსები წარმოადგენენ რნმ შემცველი ვირუსების დიდ ოჯახს, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ ნაკლებად მძიმე დაავადება, მაგ. ჩვეულებრივი გაცივება და სხვა უფრო მძიმე დაავადებები, როგორცაა SARS, MERS და COVID-19.

კორონავირუსი მიეკუთვნება Coronaviridae-ს ოჯახს. სახელის წარმოშობა დაკავშირებულია ვირუსის გვირგვინისებურ ფორმასთან (Corona). მისი გენომის ზომა 26-36 კილობაზაა, რის გამოც ადვილად განიცდის მუტაციას და არის ვარიანტული, ასევე შესაძლებელი ხდება წარმოქმნას ახალი შტამები, რომელთაც შემდგომში შესაძლოა ჰქონდეთ სწრაფი გავრცელების და სახეობიდან სახეობაზე გადასვლის მაღალი პოტენციალი. კორონავირუსები ძირითადად იწვევენ შედარებით მსუბუქად მიმდინარე სეზონურ რესპირატორულ დაავადებებს.

COVID-19 გადაცემა ხდება **წვეთოვანი** და **კონტაქტური** გზით. COVID-19-ით ავადმყოფების უმრავლესობა ინფიცირდება სიმპტომურ პაციენტებთან მჭიდრო კონტაქტით. ინფექციის წყარო შესაძლოა ასევე იყოს პაციენტი ასიმპტომური ინფექციით. [160, 161]

COVID-19 შესაძლოა მიმდინარეობდეს **ასიმპტომურად, მსუბუქად, საშუალოდ, მძიმედ ან კრიტიკულად მძიმედ**. მძიმე ინფექცია – მძიმე ატიპიური პნევმონია, მრდს, სეფსისი და სეპტიური შოკი [156, 157, 158, 159].

მსუბუქი/საშუალო სიმძიმის მიმდინარეობა გვხვდება შემთხვევათა დაახლოებით 80%-ში; 15%-ში დაავადება მიმდინარეობს მძიმედ, ხოლო 5%-ში – კრიტიკულად მძიმედ. დაავადების დამძიმება აღინიშნება მსუბუქი/საშუალო სიმძიმის ფორმის მქონე პაციენტთა 10-15%-ში, ხოლო მძიმე შემთხვევების დაახლოებით 15-20%-ში ადგილი აქვს კრიტიკულად მძიმე ფორმის (სუნთქვის უკმარისობა, მრდს, სეფსისი და სეპტიური შოკი, თრომბოემბოლიზმი და/ან პოლიორგანული უკმარისობა) განვითარებას. აღსანიშნავია, რომ გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია დაავადების მიმდინარეობის სწრაფი დამძიმება, რაც სწრაფ და ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს [156, 157, 158].

ინკუბაციური პერიოდის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 1-14 დღეს, უმეტესად - 5-6 დღეს. ინფექციის გადამდებლობა იწყება სიმპტომების გაჩენამდე 1-3 დღით ადრე [156,158,159].

მსუბუქად მიმდინარე დაავადებისას პაციენტებს არ უვითარდებათ პნევმონია. აღენიშნებათ მხოლოდ დაბალი ცხელება და საშუალოდ გამოხატული სისუსტე.

მძიმე მიმდინარეობისას დაავადება პროგრესირებს სწრაფად. შესაძლოა განვითარდეს მრდს, სეფსისი, სეპტიური შოკი, მეტაბოლური აციდოზი (რომელიც რთულად კორექტირდება), პოლიორგანოთა უკმარისობა და სხვ. აღსანიშნავია, რომ მძიმე და კრიტიკულად მძიმე მიმდინარეობის მქონე პაციენტებს შესაძლოა აღენიშნებოდეთ ზომიერი ან დაბალი ცხელება ან ძალზე უმნიშვნელოდ გამოხატული ცხელებაც კი. მძიმედ მიმდინარე შემთხვევები გამოჯანმრთელდებიან სიმპტომების გაჩენიდან 3-6 კვირის ფარგლებში. ლეტალური გამოსავლის შემთხვევაში სიკვდილი დგება სიმპტომების დაწყებიდან 2-8 კვირაში [156, 158].

მოზრდილებისგან განსხვავებით **ბავშვებში ინფექცია უფრო მსუბუქად მიმდინარეობს**. ბავშვებსა და ახალშობილებში შესაძლოა განვითარდეს ატიპური სიმპტომები, მაგ: გასტროინტესტინური სიმპტომები: ლებინება და დიარეა ან შესაძლოა აღენიშნებოდეთ მხოლოდ უგუნებობა და სუნთქვის გაძნელება [156, 158].

COVID-19 პაციენტთა უმრავლესობას კარგი პროგნოზი აქვს. ხანდაზმულ და თანმხლები/ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებს კი აქვთ არასახარბიელო გამოსავლები [156, 158].


მიუხედავად იმისა, რომ COVID-19-ის ინფექციის შესწავლის კლინიკურ კვლევებში არსებითმა პროგრესმა განაპირობა SARS-CoV-2-ის შესახებ მეტი და დაზუსტებული ინფორმაცია და შესაბამისად დაავადების სწორი მართვა, ბევრ ქვეყანაში გრძელდება ამ ინფექციის გავრცელება [120]. COVID-19-ის ეპიდემია, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება ვირუსის მუტანტური ვარიანტების გაჩენას. სხვა რნმ ვირუსების მსგავსად, SARS-CoV-2 ადაპტირდება გენეტიკურ ევოლუციასთან განვითარებადი მუტაციებით, რაც იწვევს მუტანტური ვარიანტების წარმოქმნას, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული მახასიათებლები, ვიდრე მათ წინამორბედ შტამებს. SARS-CoV-2-ის რამდენიმე ვარიანტი აღწერილია ამ პანდემიის დროს, რომელთა შორის მხოლოდ რამდენიმე ითვლება შემფოთების ვარიანტად (variants of concern (VOCs)). ჯანმო-ს მიერ ეპიდემიოლოგიური განახლების საფუძველზე, პანდემიის დაწყებიდან ხუთი SARS-CoV-2 VOC გამოვლინდა:

- **ალფა (B.1.1.7):** შემფოთების პირველი ვარიანტი, რომელიც აღწერილი იყო გაერთიანებულ სამეფოში (დიდი ბრიტანეთი) 2020 წლის დეკემბრის ბოლოს;
- **ბეტა (B.1.351):** პირველად მოხსენებული სამხრეთ აფრიკაში 2020 წლის დეკემბერში;
- **გამა (P.1):** პირველად მოხსენებული ბრაზილიაში 2021 წლის იანვრის დასაწყისში;
- **დელტა (B.1.617.2):** პირველად დაფიქსირდა ინდოეთში 2020 წლის დეკემბერში[107];
- **ომიკრონი (B.1.1.529):** პირველად გამოვლინდა სამხრეთ აფრიკაში 2021 წლის ნოემბერში[27].

მიუხედავად COVID-19-ის პრევენციის საწინააღმდეგო ვაქცინის უპრეცედენტოდ მოკლე ვადაში შექმნის და გლობალური მასობრივი ვაქცინაციის მცდელობებისა, SARS-CoV-2-ის ახალი ვარიანტების გაჩენა საფრთხეს უქმნის ამ დაავადების გავრცელების შეზღუდვის კუთხით მიღწეულ პროგრესს[22].

SARS-CoV-2 ორგანიზმში შეჭრისთვის იყენებს ტრანსმემბრანული ანგიოტენზინ II-ის მაკონვერტირებელი ფერმენტის (ACE-2) რეცეპტორს, რენინ-ანგიოტენზინის სისტემის (RAS) რეგულატორს – რომელიც მონაწილეობს ვაზოკონსტრიქტორ ანგიოტენზინ II-ის (AngII) ბიოტრანსფორმაციაში ვაზოდილატორ ანგიოტენზინ 1-7-

თან[90], რომელიც უხვად არის ადამიანის ალვეოლური ეპითელური უჯრედების ან პნევმოციტების უჯრედის ზედაპირზე, თუმცა ასევე წარმოდგენილია სასუნთქი გზების ეპითელურ უჯრედებზე, ნაწლავის ენტეროციტებზე, თირკმლის პროქსიმალურ ტუბულურ უჯრედებზე, სისხლძარღვთა ენდოთელურ უჯრედებზე და კარდიომიოციტებზე, აგრეთვე ჰემატოპოეზურ და იმუნურ უჯრედებზე, გამოიყენება ვირუსის მიერ მასპინძელ უჯრედებში შესვლის რეცეპტორად [60,144]. SARS-CoV-2 იყენებს სხვადასხვა პროტეაზას ფერმენტებს, განსაკუთრებით ტრანსმემბრანულ პროტეაზა სერინს 2 (TMPRSS2), სპეციფიკურ პროტეაზას, რომელიც გამოხატულია ადამიანის პნევმოციტების უჯრედის ზედაპირზე, მაგრამ ასევე იმყოფება ნაწლავის ენტეროციტებში, თირკმლის უჯრედებსა და სისხლძარღვების ენდოთელიალურ უჯრედებში, როგორც პირველადი ფაქტორი. მასპინძელ უჯრედში ვირუსის ინტერნალიზაციის ხელშეწყობისა და „წვეტის“ ცილების დაშლის გზით, ხელს უწყობს ვირუსის კონვერტის შერწყმას მასპინძელი უჯრედების მემბრანასთან [125]. მნიშვნელოვანია, რომ TMPRSS2 და ACE2 რეცეპტორები წარმოდგენილია არამარტო სასუნთქ სისტემაში, განსაკუთრებით ფილტვებში, არამედ გულში, სისხლძარღვებში, ცენტრალურ ნერვულ, საჭმლის მომნელებელ სისტემაში და სხვა[1], რითაც გარკვეულწილად ხსნიან იმ ფაქტს, რომ COVID-19-ით პაციენტებში ხშირია ზემოთაღნიშნული ორგანოების და სისტემების დაზიანება[23].



სურათი №1

SARS-CoV-2 ინდუცირებული სეფსისის დროს ვითარდება რენინ-ანგიოტენზინის სისტემის დისრეგულაცია. COVID-19-ით ინდუცირებული სეფსისის დროს რენინ-ანგიოტენზინის სისტემის სტიმულაცია შეიძლება იყოს გაძლიერებული ან დაქვეითებული. ანგიოტენზინ-გარდამქმნელი ფერმენტის მარაგი და ანგიოტენზინ-რეცეპტორების ფუნქციური აქტივობა მთავარი ფაქტორებია ჰემოდინამიკური სტაბილურობის მისაღწევად და შენარჩუნებისათვის.

გლობალურ მონაცემებზე დაყრდნობით, COVID-19-ით პაციენტების კლინიკური მახასიათებლები და ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ გამოჯანმრთელებასა და სიკვდილიანობაზე [147].


დაავადების განვითარების მექანიზმი

ძირითადი მექანიზმები, რომლებიც შეიძლება იყვნენ SARS-CoV-2 ინფექციით მრავალორგანული დაზიანების პათოფიზიოლოგიის მიზეზი, მოიცავს პირდაპირ ვირუსულ ტოქსიკურობას, ენდოთელური უჯრედების დაზიანებას და თრომბოციტების ანთებას, იმუნური პასუხისა და რენინ-ანგიოტენზინ-ალდოსტერონის დისრეგულაციას - სისტემა (RAAS) (სურათი 1). ამ მექანიზმების საბოლოო მნიშვნელობა COVID-19-ის პათოფიზიოლოგიაში ამჟამად ბოლომდე არ არის გარკვეული [77]. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მექანიზმი, მათ შორის ACE2 მეშვეობით ვირუსის შეჭრა და ქსოვილის დაზიანება და RAAS-ის დისრეგულაცია, შეიძლება იყოს უნიკალური COVID-19-ისთვის, ციტოკინების სისტემური გამოთავისუფლებით გამოწვეული იმუნური პათოგენეზი და მიკროცირკულაციის დისფუნქცია. ასევე შეიძლება მეორადად ჩამოყლიბდეს სეფსისი [36]. სქემაზე ნაჩვენებია ვირუსის შეღწევა ორგანიზმში (სურათი 1)

SARS-CoV-2 შეიჭრება მასპინძელ უჯრედებში მისი „წვეტის“ ცილის ურთიერთქმედების გზით შესვლის რეცეპტორ ACE2-თან TMPRSS2-ის თანაობით. SARS-CoV-2 ინფექციით გამოწვეული COVID-19-ის განვითარების მექანიზმები მოიცავს:

- 1) პირდაპირ ვირუსით გამოწვეული უჯრედების დაზიანებას;

- 2) RAAS-ის დისრეგულაციას ACE2-ის დაქვეითების შედეგად, რომელიც დაკავშირებულია ვირუსის შეღწევასთან, რაც იწვევს ანგიოტენზინ I-ისა და ანგიოტენზინ II-ის დაშლის შემცირებას;
- 3) ენდოთელური უჯრედების დაზიანებას და თრომბოციტების ანთებას; და
- 4) იმუნური პასუხის დისრეგულაციას და ჰიპერანთებას, რომელიც გამოწვეულია ვირუსის მიერ ინტერფერონის სიგნალიზაციის დათრგუნვით, T უჯრედების ლიმფოდეპლაციით და პროანთებითი ციტოკინების - განსაკუთრებით IL-6-ის და $TNF\alpha$ -ის წარმოქმნით[131].



სურ.1.1.

ჰისტოპათოლოგიურმა კვლევებმა გამოავლინა SARS-CoV-2-ის ორგანოტროპიზმი სასუნთქი გზების მიღმა [24], მათ შორის ტროპიზმი თირკმლის, [104], მიოკარდიუმის, ნევროლოგიური [20], ფარინგეალური [54] და კუჭ-ნაწლავის ქსოვილების მიმართ [29, 150]. გარდა ამისა, ერთუჯრედიანი რნმ-ის თანმიმდევრობის კვლევებმა დაადასტურა ACE2-ისა და TMPRSS2-ის ექსპრესია ფილტვის ალვეოლური ეპითელიუმის II ტიპის უჯრედებში, ცხვირის ეპითელიუმის სეკრეტორულ უჯრედებში, ქოლანგიოციტებში, კოლონოციტებში, საყლაპავის კერატინოციტებში, კუჭ-ნაწლავის ეპითელურ უჯრედებში, პანკრეასის ტუბულურ პროქსიმალურ ბეტა

უჯრედებში [97]. ეს დასკვნები მიუთითებენ, რომ მულტიორგანული დაზიანება შეიძლება ნაწილობრივ მაინც მოხდეს უშუალოდ ვირუსის მიერ ქსოვილის დაზიანების გამო. SARS-CoV-2-ის ფილტვგარე გავრცელების მექანიზმი, ჰემატოგენური თუ სხვაგვარი, დღემდე გაუგებარი რჩება.

SARS-CoV-2-ით ინფიცირების შემთხვევაში პაციენტთა ჰოსპიტალიზაციის საშუალო მანძილ/შესაძლებლობა მერყეობდა 23.9%-დან (95% CI, 22.2%-25.5%), მაღალი არტერიული წნევის მქონე პაციენტებში – 40.4%-მდე (95% CI, 34.6%-46.2%), ფილტვების ქრონიკული დაავადება ასოცირებული იყო გართულების სამედიცინო რისკ ფაქტორების რაოდენობასთან: 17.6% (95% CI, 16.4%-18.8%) და 41.8% (95% CI, 38.7%-45.0%) მოზრდილებში, შესაბამისად 0 vs 3 ან მეტი სამედიცინო რისკის ფაქტორით. უფრო ნაკლები პოტენციურად მაღალი ინფექციის რისკის აქტივობები განხორციელდა მოზრდილების მიერ 3 ან მეტი რისკის ფაქტორების წინააღმდეგ: 2.83 (95% CI, 2.66-2.99) vs 3.12 (95% CI, 3.02-3.22). ამრიგად, ჯვარედინი გამოკითხვის კვლევაში, რისკ-ფაქტორების მქონე მოზრდილებმა აღნიშნეს COVID-19 გართულებებისადმი უფრო მაღალი მგრძობიანობა [112].

კვლევებმა აჩვენა უფრო მაღალი ვირუსული დატვირთვის მაჩვენებელი ცხვირის ღრუში, ვიდრე ყელში. ამასთან, სიმპტომურ და ასიმპტომურ პირებს შორის ვირუსული დატვირთვის მიხედვით მონაცემებში განსხვავება არ აღინიშნა. SARS-CoV-2-ის ინკუბაციური პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს 14 დღემდე, საშუალოდ 2,5 დღე. თითქმის ყველა პაციენტს აღინიშნება ერთი ან მეტი სიმპტომი ვირუსით დაინფიცირებიდან 5-12 დღის განმავლობაში.

ანოსმია და აგუზია (სუნის და გემოს აღქმის დარღვევა/დაკარგვა) ერთ-ერთი პირველი ფოკალური ნევროლოგიური სიმპტომია, რომელიც აღწერილი იყო COVID-19-ის დროს და რამაც გამოიწვია მეცნიერთა ინტერესი SARS-CoV-2-ის პოტენციური ნეიროტროპიზმის მხრივ [40]. ანოსმია დაფიქსირდა ჰოსპიტალიზებული პაციენტების 5-35%-ში და შესაძლოა მაჩვენებელი უფრო მაღალი იყოს არაჰოსპიტალიზირებულ პაციენტებში [41]. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს იყო ერთადერთი გამოვლენილი სიმპტომი, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს მწვავე რესპირატორული სიმპტომებისგან დამოუკიდებლად, რაც უარყოფითად მოქმედებს

გადარჩენილ პაციენტთა ცხოვრების ხარისხზე. ცხვირის ლორწოვანი გარსის და სუსტენტაკულარული უჯრედების ინფექცია ყნოსვის ნერვის პროექციებში გავრცელებით არის ნეიროპათოგენეზის ერთ-ერთი შესაძლო მექანიზმი COVID-19-ის დროს [14]. ვირუსული რნმ ასევე ნაპოვნია ყნოსვის ბოლქვში ზოგიერთი პაციენტის სიკვდილის შემდეგ, თუმცა მისი კავშირი ნევროლოგიურ დაზიანებასთან არ არის დადასტურებული [88].

პაციენტთა შეცვლილი ფსიქიკური მდგომარეობა არის COVID-19 ჰოსპიტალიზაციასთან დაკავშირებული გავრცელებული ნევროლოგიური პრობლემა. აღმოჩნდა, რომ EEG-ის დარღვევები COVID-19-თან დაკავშირებულ ენცეფალოპათიის დროს კორელაციაშია დაავადების სიმძიმესთან. ყველა EEG-ს ჩვენება იყო შეცვლილი ფსიქიკური მდგომარეობა (61.7%), კრუნჩხვის მსგავსი მოვლენები (31.2%) და გულის გაჩერება (3.5%). EEG ანომალიები (n = 543, 88.0%) იყო ქვეკლასიფიცირებული სამ ჯგუფად:

ფონური ანომალიები: დიფუზური შენელება (n = 423, 68.6%), ფოკალური შენელება (n = 105, 17.0 %) და უკანა დომინანტური რიტმის არარსებობა (n = 63, 10.2 %). **გენერალიზებული რიტმული აქტივობა** (n = 32, 5.2 %).

(3) **ეპილეფსიური ცვლილებები:** ფოკალური (n = 35, 5.7 %), გენერალიზებული (n = 27, 4.4 %), კრუნჩხვები/სტატუსური ეპილეფსიური (n = 34, 5.5 %).

ფრონტალური EEG შაბლონები შეადგენდა ყველა აღმოჩენის დაახლოებით მესამედს. კვლევებში, რომლებშიც გამოყენებული იყო უწყვეტი EEG, 251 პაციენტიდან 96.8% (n = 243) დაფიქსირდა პათოლოგიების არსებობა, ხოლო 85.0% (n = 311) პაციენტებში, რომლებსაც არ უტარდებოდათ უწყვეტი EEG მონიტორინგი ($\chi^2 = 22.8$, $p = < 0.001$)[132,145] . ???

EEG ანომალიები ხშირია COVID-19-თან დაკავშირებული ენცეფალოპათიის დროს და დაკავშირებულია დაავადების სიმძიმესთან, ადრე არსებულ ნევროლოგიურ მდგომარეობებთან ეპილეფსიის ჩათვლით. ფრონტალური ცვლილებები ხშირია და შემოთავაზებულია, გამოყენებული იყოს როგორც ბიომარკერი COVID-19 ენცეფალოპათიისთვის [9].

პაციენტთა ხანდაზმული ასაკი და მაღალი საერთო ბილირუბინი იყო დამოუკიდებელი რისკ-ფაქტორები დელტა ვარიანტის მძიმე შემთხვევებისთვის გუანჯოუში (ჩინეთი), განსაკუთრებით - თუ ასაკი იყო 58.5 წელზე მეტი ან საერთო ბილირუბინის დონე აღემატებოდა 7.23 მკმოლ/ლ-ს [63].

თრომბოზი – თრომბოემბოლიის პათოფიზიოლოგია, COVID-19 და არა-COVID-19 დარღვევებში, როგორც ჩანს, უფრო მგრძობიარეა თრომბოციტების მიმართ, ვირუსული შუამავლობით ენდოთელიუმის ანთებით და ჰიპერკოაგულაციით ასოცირებული კოაგულაციის ფაქტორების კონცენტრაციასთან, შეძენილ ანტიფოსფოლიპიდურ ანტისხეულებთან და ენდოგენური ანტიკოაგულანტის კონცენტრაციის დაქვეითებასთან. ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ თრომბოემბოლიური მდგომარეობის განვითარებას COVID-19-ით პაციენტებში, მოიცავს უმოძრაობის, სისტემური ანთების, თრომბოციტების აქტივაციის, ენდოთელიუმის დისფუნქციის და სისხლის ნაკადის სტაზის კომბინაციას, რაც ხელს უწყობს კოაგულაციის განვითარებას და შესაბამისად მიკრო- და მაკროვასკულარულ თრომბოზს [96]. არის თუ არა ეს პროცესები სპეციფიკური SARS-CoV-2-ით გამოწვეული ინფექციისთვის, უფრო სწორად, არის თუ არა მძიმე ვირუსული დაავადების თრომბოანთებითი შედეგი, ჯერ კიდევ დაუდგენელია. მწვავე კოვიდ ინფექცია, ასევე, ასოცირდება პროთრომბოზულ და პროკოაგულირებად მდგომარეობასთან, რომელიც შერწყმულია ისეთ რისკ ფაქტორებთან, როგორიცაა დიაბეტი და რომელიც დაკავშირებულია ფიბრინოლიზის დაქვეითებასთან და თრომბოციტების გააქტიურებასთან. შეიძლება განვითარდეს კორონარული თრომბოზიც [19, 20].

სხვადასხვა კვლევების მონაცემებით, ზოგიერთი თანმხლები დაავადება განაპირობებს კორონავირუსული დაავადების, COVID-19-ის მძიმე მიმდინარეობასა და სიკვდილიანობას. თუმცა, სხვა კვლევებში დაფიქსირდა მნიშვნელოვანი განსხვავება თანმხლები დაავადებების გავრცელების შეფასებებში და მათი გავლენის შესახებ COVID-19 ავადობასა და სიკვდილიანობაზე [120]. ერთერთი კვლევის შედეგების მიხედვით, რომლებიც ჩატარებულია 125,446 პაციენტის მონაწილეობით, ყველაზე გავრცელებული თანმხლები დაავადება იყო ჰიპერტენზია (32%), შემდეგ სიმსუქნე (25%), დიაბეტი (18%) და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები (16%), ხოლო

თირკმელების ქრონიკული ან თირკმელების სხვა დაავადებები (51%, 44%). ცერებროვასკულური პრობლემები (43%, 44%) და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები (44%, 40%) პაციენტებს აღენიშნებოდათ COVID-19 სიმძიმის და სიკვდილიანობის შესაბამისად.

დაფიქსირდა COVID-19-ის მიმდინარეობის და ლეტალობის მონაცემთა მნიშვნელოვანი ცვალებადობა თანმხლები დაავადებების გავრცელებისა და ასოცირებული დაავადების სიმძიმისა და სიკვდილიანობის მიხედვით **სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონში**. ყველაზე მაღალი სიკვდილიანობა დაფიქსირდა ლათინოამერიკულ და ევროპულ პაციენტებთან ჩატარებულ კვლევებში, რომლებსაც აღენიშნებოდათ რაიმე თანმხლები დაავადება - ძირითადად ხანდაზმულებსა (≥ 65 წელი) და ძირითადად მამაკაცებში. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს კვლევებმა დააფიქსირა თანმხლები დაავადებების ყველაზე მაღალი გავრცელება COVID-19 პაციენტებში ამ გეოგრაფიულ არეალში, COVID-19-ის სიმძიმე თითოეულ თანმხლებ მდგომარეობას შორის ყველაზე მაღალი იყო აზიურ კვლევებში, ხოლო სიკვდილიანობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაზე მაღალი იყო ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში. შესაბამისად, **რისკის სტრატეგიკაცია და ეფექტური კონტროლის სტრატეგიები COVID-19-ისთვის უნდა განხორციელდეს გეოგრაფიული მდებარეობის, სპეციფიკური თანმხლები დაავადებების, ასაკისა და გენდერული განსხვავებების მიხედვით** [132]. ამასთან, დაავადების სიმძიმის დიფერენციალური გავრცელება შეიძლება აიხსნას სოციო-დემოგრაფიული, კულტურული, ქცევითი და ბიოლოგიური ფაქტორებით [2, 15].

თანმხლები დაავადებები (როგორცაა **ჰიპერტენზია, გულ-სისხლძარღვთა დაავადება [2] და დიაბეტი**) სერიოზულად აუარესებს გამოჯანმრთელების შედეგს. ამიტომ, SARS-CoV-2 ინფექციის მქონე პაციენტები გულდასმით უნდა შეფასდნენ გულის სამედიცინო ისტორიისა და შესაძლო კარდიოლოგიური გართულებების თვალსაზრისით [72].

მზარდი მტკიცებულება მიუთითებს, რომ **თირკმელების მწვავე დაზიანება** ხშირია COVID-19-ის დროს, კავშირშია სუნთქვის უკმარისობასთან და ასოცირდება

გამოსავლის ცუდ პროგნოზთან, განსაკუთრებით გულ-სისხლძარღვთა რისკ-ფაქტორების არსებობის დროს [134].

მკურნალობის გართულებები

მიუხედავად კლინიკური სარგებლობისა, მედიკამენტის - რემდესივირის მიღება დაკავშირებულია ჰიპერგლიკემიის განვითარებასთან, მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება სისხლში გლუკოზის მომატებული დონით, როგორც თერაპიის დროს, ასევე მკურნალობის დამთავრების შემდეგ. ჩატარებულმა კვლევებმა დაადგინა COVID-19 პაციენტებში კავშირი რემდესივირსა და სისხლში გლუკოზის მომატებულ დონეს შორის [101]. რემდესივირმა ასევე გამოიწვია ღვიძლის ფერმენტების მნიშვნელოვანი ზრდა. ანუ, სისხლში შაქრის მომატებული დონე და, ასევე, რემდესივირით მკურნალობის დროს ჟანგბადზე გაზრდილი მოთხოვნილება იყო ყველაზე გავრცელებული და სერიოზული უარყოფითი ეფექტი [46].

კვლევაში ჩართული იყო 2401 პაციენტი 15 სტატიის მიხედვით. მეტა-ანალიზმა აჩვენა, რომ COVID-19-ით დაღუპულთა 66.6% იყო მამაკაცი, საშუალო ასაკი 69.9 წელი. გარდაცვლილთა საერთო სიმპტომები მოიცავდა: ცხელებას (70.6-100%), ქოშინს (38.89-85.7%), ხველას (22.4-78%) და დაღლილობას (22-61.9%). ჰიპერტენზიის, და ქრონიკული ცერებროვასკულური დაავადების სიხშირე COVID-19 დაღუპულებს შორის იყო 38.56% (95% სანდოობის ინტერვალი (CI): 25.84 -52.12%), ქრონიკული გულ-სისხლძარღვთა დაავადების - 17.54% (95% CI 13~2.38%), დიაბეტის – 22.2% (95% CI 19.30 ~ 25.10%), და 15.58% (95% CI 10.05 ~ 21.12%), შესაბამისად.

გადარჩენილ პაციენტებთან შედარებით, გარდაცვლილ პაციენტებს აღენიშნებოდათ თრომბოციტების დაბალი დონე (საშუალო განსხვავება (MD) = - 39,35, 95% CI - 55,78 ~ - 22,93), მაღალი C-რეაქტიული ცილა (CRP) (MD 85,98%. CI 62.53 - 99.18) და ლაქტატდეჰიდროგენაზა (LDH) (MD = 246.65, 95% CI 157.43 - 335.88). გარდაცვლილთა შორის ყველაზე გავრცელებული გართულება იყო მწვავე რესპირატორული დისტრეს სინდრომი (ARDS) (OR = 100.36, 95% CI 64.44 -156.32) და შოკი (OR = 96.60, 95% CI 3.4-3.2).

ამრიგად, ამ კვლევის მიხედვით, COVID-19-ით დაღუპულ პაციენტთა უმეტესობა ხანდაზმული მამაკაცი იყო. ცხელება, ქოშინი, მშრალი ხველა, დაღლილობა, ჰიპერტენზია, ქრონიკული გულ-სისხლძარღვთა და ცერებროვასკულური დაავადებები, დიაბეტი და ლაბორატორიული გამოკვლევები, რომლებიც აჩვენებდნენ თრომბოციტების შემცველობის დაბალ დონეს, CRP-ს და LDH-ის მომატებას, დაკავშირებული იყო სიკვდილის რისკთან. ARDS და შოკი ასევე იყო სიკვდილის რისკის ფაქტორები COVID-19 პაციენტებში [104].

ოცდაექვსი კვლევის მიხედვით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 7274-მა COVID-19-ით პაციენტმა (5926 გადარჩენილი და 1348 გარდაცვლილი), გადარჩენილებთან შედარებით, გარდაცვლილებს ხშირად აღენიშნებოდათ ქოშინი (66% v. 34%), გულმკერდის შებოჭილობა (46%, 30%-ის წინააღმდეგ), ჰემოპტოზი (4%, 3%-ის წინააღმდეგ) და დაღლილობა (50% 44%-ის წინააღმდეგ). გარდა ამისა, ქოშინი, გულმკერდის შებოჭილობა, ჰემოპტოზი, ნახველი და დაღლილობა დაფიქსირდა, როგორც სიკვდილიანობის მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორები (ქოშინი – OR = 4.52, 95%CI [3.15, 6.48], P<0.001; გულმკერდის შებოჭილობა – OR = 2.50, 95%CI [1.78, 3.52], P<0.001; OR = 2.00, 95%CI: [1.02, 3.93], P = 0.045; OR = 1.52, 95%CI [1.17, 1.90] და დაღლილობა – OR=1.27,95%CI [1.09, 1.48], P = 0.003[148]). ჰეტეროგენურობის ტესტის შედეგები ქოშინი, გულმკერდის შებოჭილობა, ჰემოპტოზი, ხველა და დაღლილობა შეფასებული ი2-ით იყო 79%, 2%, 0%, 51% და 10%, შესაბამისად. თუმცა, არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი კორელაცია სიკვდილიანობასა და ისეთ სიმპტომებს შორის როგორც იყო – ცხელება, ხველა, დიარეა, თავისა და მუცლის ტკივილი, თავბრუსხვევა, გულისრევა, გულმკერდის ტკივილი[43, 49,65,66].

გადარჩენილებთან შედარებით, გარდაცვლილ პაციენტებში მკურნალობის დაწყებამდე დაფიქსირდა აბსოლუტური ლეიკოციტების რაოდენობის (WMD = 3.27×10^9 /ლ, 95% CI:[2.34-4.21], P<0.001) მნიშვნელოვანი მატება და შემდგომ მნიშვნელოვანი უარყოფითი კორელაცია სიკვდილიანობის რისკსა და მკურნალობამდე აბსოლუტური ლეიკოციტების რაოდენობის შემცირებას შორის (OR= 0.32, 95%CI: [0.22, 0.46], P<0.001; I2=44%, P=0.11). მკურნალობის პერიოდში აბსოლუტური ლიმფოციტების საშუალო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა გარდაცვლილ პაციენტებში – WMD- 0.39×10^9 /ლ, 95 CI: [-0.46-0.33]; P<0.001)

გადარჩენილებთან შედარებით და მკურნალობამდე აბსოლუტური ლიმფოციტების რაოდენობის შემცირება, ასევე, მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული სიკვდილიანობის გაზრდილ რისკთან (OR=9.83, 95%CI: [6.72, 14.38], P<0.001). გამოხატული ჰეტეროგენულობა არ დაფიქსირებულა ჰეტეროგენურობის ტესტით (I²=0%, P=0.515) (ნახ 3). უფრო მეტიც, LDH, D-დიმერი, PCT და ფერიტინი მომატებული იყო გარდაცვლილ პაციენტებში და ზემოთ ნახსენები გაზრდილი მაჩვენებლები, ასევე, დაკავშირებული იყო სიკვდილის გაზრდილ რისკთან [25, 26, 34, 37, 78, 110, 114, 115, 123, 127].

აღსანიშნავია, რომ COVID-19-ით პაციენტებში ჰიპერგლიკემიაც დადებით კორელაციაში იყო დაავადების გამოსავლის არასახარბიელო შედეგებთან [150].

ჰიპერგლიკემია და გამოხატული ანთებითი სინდრომი იყო ცუდი პროგნოზის ძირითადი პრედიქტორი პაციენტებში, რომლებიც COVID-19-ით ჰოსპიტალიზებულნი იყვნენ სამხრეთ კივუში (კონგო). ინტრაჰოსპიტალური სიკვდილიანობა ძირითადად დაკავშირებული იყო ხანდაზმულ ასაკთან. შანსების თანაფარდობა, OR (95% ნდობის ინტერვალი, CI) = 2.34 (1.06-5.38)], ჰიპოქსემია [OR (95% CI) = 4.67 (2.02-10.77OR, ჰიპერგლიკემია [2.02-10.77OR)] (95% CI) = 2.14 (1.06-4.31)], თირკმლის უკმარისობა [OR (95% CI) = 2.82 (1.4-5.68)], ჰიპერლეიკოციტოზი [OR (95% CI) = 3.33 (1.67)]. C-რეაქტიული ცილის (CRP) უფრო მაღალი დონე [OR (95% CI) = 3.93 (1.93-8.01)]. სხვადასხვა კოვარიატებისთვის კორექტირების შემდეგ, მხოლოდ უფრო მაღალი CRP დონეები [OR (95% CI) = 3.23 (1.23-8.5)] და ჰიპერგლიკემია [OR(95%CI) = 2.5(1.02-6.11)] მიღების დამოუკიდებლად იყო დაკავშირებული სიკვდილიანობასთან [135].

სიმსუქნე ასაკის, სქესის, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, სოციალურ-ეკონომიკური დისტრესისა და თანმხლები დაავადებებისგან დამოუკიდებლად წარმოადგენს COVID-19-ის მძიმე გართულებებისა და სიკვდილის რისკის ფაქტორს. ასევე, დადასტურდა რასობრივი განსხვავებები მძიმე ექსტრაპულმონური გართულებების დროს [21,69,145].

ლაბორატორიული მახასიათებლები

კვლევებმა აჩვენა, რომ მასკინძლის არასწორმა/დარღვეულმა იმუნურმა რეაქციამ და ციტოკინურმა შტორმმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს COVID-19-ის მძიმე მიმდინარეობის განვითარებაში [111]. ამდენად, დაავადების პროგნოზულ მახასიათებლებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანთებით მარკერებს.

C-რეაქტიული ცილის (CRP) შრატის დონე არის მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი რისკის ფაქტორი 2019 წლის კორონავირუსის დაავადებისთვის (COVID-19) [79].

პათოგენურ სტიმულებზე ნორმალური იმუნური პასუხის დროს, ხდება ანთებითი შუამავლების რეგულარული გამომუშავება პათოგენების ეფექტური გაუვნებელყოფების მიზნით. საწყის იმუნურ აქტივობაზე დაბრუნება ჩვეულებრივ ხდება მას შემდეგ, რაც გამომწვევი სტიმული მოიხსნება. ეს პროცესი მოიცავს პროანთებითი და ანთების საწინააღმდეგო ციტოკინების კოორდინირებულ ურთიერთქმედებას, როგორც იმუნური პასუხის ლოკალიზაციისთვის, ასევე საჭიროების შემთხვევაში მისი ჩაქრობის მიზნით. ე. წ. ციტოკინური შტორმი, ანუ პროანთებითი ციტოკინების დაურეგულირებელი და გადაჭარბებული გამოთავისუფლება, არის სისტემური ანთებითი პასუხი, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა სტიმულებით, მათ შორის მიკრობებით და ზოგიერთი აუტოიმუნური/აუტოანთებითი პირობებით [129]. მძიმე რესპირატორული ვირუსული ინფექციები ასოცირდება ციტოკინურ შტორმთან, რაც გულისხმობს პროანთებითი ციტოკინების TNF- α , IL-6, IL-1 β და MCP გამომუშავებას [82].

COVID-19 ინფექციის მქონე პაციენტთა უმეტესობას უვითარდება მსუბუქი სიმპტომები, ხოლო პაციენტების 15%-ს უვითარდება მძიმე დაავადება. როგორც მეტა-ანალიზმა, ასევე ლიტერატურის სისტემატიურმა შესწავლამ აჩვენა, თანმხლები მდგომარეობები, რომლებიც სარწმუნო რისკ-ფაქტორებია COVID-19 სიმძიმისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლებისთვის, როგორცაა დიაბეტი, სიმსუქნე, ჰიპერტენზია და ფილტვების ქრონიკული დაავადება [146].

ანგიოტენზინ-გარდამქმნელი ფერმენტის 2 (ACE2) რეცეპტორის ექსპრესია, რომელიც ხელს უწყობს SARS-CoV-2-ის შეღწევას უჯრედებში, იზრდება ამ ფონურ პირობებში [143].


ერთ-ერთი მთავარი ციტოკინი, რომელიც მნიშვნელოვანია, როგორც ბიომარკერი COVID-19 მენეჯმენტის სხვადასხვა ასპექტში, არის IL-6. IL-6 არის პლეოტროპული ციტოკინი, რომელიც თამაშობს ძირითად როლს მასპინძლის ინფექციებისგან დაცვაში. IL-6 გამოიყოფა თანდაყოლილი და ადაპტური იმუნური სისტემის სხვადასხვა ტიპის უჯრედების მიერ ორგანიზმში მიკრობული ანტიგენების მოხვედრის შემდეგ. IL-6 ააქტიურებს JAK-STAT სასიგნალო გზას ეფექტურ უჯრედებში, რაც იწვევს T და B უჯრედების, მონოციტებისა და ნეიტროფილების ცვალებად გაძლიერებულ პროლიფერაციას, დიფერენციაციას და ქემოტაქსს [85, 143]. IL-6, IL-1-თან ერთად, ასევე იწვევს C-რეაქტიული პროტეინის (CRP) სეკრეციას, მწვავე ფაზის რეაგენტს, რომელიც ააქტიურებს კლასიკურ კომპლემენტის გზას და შუამავლობს ფაგოციტოზს. [23]

COVID-19 ინფექცია იწვევს პროანთებითი პროცესის ჭარბად გააქტიურებას, რაც იწვევს ციტოკინურ შტორმს ანუ ანთებადი მოლეკულების დიდი რაოდენობით, ჭარბად გამოთავისუფლებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მწვავე რესპირატორული დისტრეს სინდრომის განვითარება და პოლიორგანული დისფუნქცია [128]. იმუნოლოგიური და მეტაბოლური რეაქციების კასკადი წარმოქმნის ძირითად ბიომარკერებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად გამოხატულია ადამიანის ორგანიზმში COVID-19-ის არსებობის დროს.

ჩატარებული კვლევების მონაცემებით, გამოვლინდა რამდენიმე ბიომარკერი, რომლებიც დაკავშირებულია COVID-19-ის მიმდინარეობის სიმძიმესთან და სიკვდილიანობასთან. კერძოდ, ეს ანთებითი მარკერებია ინტერლეიკინი (IL) 1b/6/8, C-რეაქტიული ცილა (CRP), ფერიტინი, კრეატინინკინაზა (CK) და ნეიტროფილები/ლიმფოციტების თანაფარდობა (NLR). კოაგულაციის ბიომარკერები მოიცავს D-დიმერს, ფიბრინოგენს, და თრომბოციტების რაოდენობას (თრომბოციტოპენიას). გულის შეკუმშვის ინდიკატორებია ტროპონინი და ლაქტატდეჰიდროგენაზა (LDH). ბაქტერიული ინფექციის პროგნოზირებას განსაზღვრავს ლიმფოციტების რაოდენობა (ლიმფოპენია) და პროკალციტონინი, ხოლო ღვიძლის დაზიანების შესაფასებლად გამოიყენება ალანიის (ALT) და ასპარტატის ტრანსამინაზების (AST) მაჩვენებლები [85]. კლინიკური გადაწყვეტილების მიღებისთვის, COVID-19-ის მძიმე მიმდინარეობის მაჩვენებლებად რეკომენდებულია ძირითადად ბიოქიმიური

მარკერების გამოყენება, როგორცაა D-დიმერის, CRP, LDH, ტროპონინის, ფერიტინის და CK მომატებული დონეები, ასევე, ლიმფოციტების აბსოლუტური რაოდენობის შემცირება და NLR-ის მატება¹.

კვლევამ შეაფასა შვიდი ინდიკატორის დიაგნოსტიკური მნიშვნელობა არაკრიტიკულ და კრიტიკულ შემთხვევებში ROC ანალიზის გამოყენებით COVID-19 პაციენტებში. შვიდმა ინდიკატორმა აჩვენა კარგი დიაგნოსტიკური ღირებულება. აღსანიშნავია, რომ IL-6-ს ჰქონდა ყველაზე მაღალი ფართობი მრუდის (AUC) მნიშვნელობის ქვეშ (AUC = 0,931), მაშინ როდესაც CRP და D2 იყო მეორე (AUC = 0,918) და მესამე (AUC = 0,884) ადგილზე, შესაბამისად. ეს შედეგები აჩვენებს, რომ შვიდი ინდიკატორი არის COVID-19-ის პოტენციური დიაგნოსტიკური მარკერები COVID-19-ით პაციენტებში [35].



მიღებული მონაცემების მიუხედავად, საჭიროა შემდგომი კვლევები მძიმე კლინიკური პროფილის მქონე პოპულაციებში ათვლის წერტილების დასადგენად და უფრო დიდ პოპულაციებში ამ ინდიკატორების რეალური დიაგნოსტიკური სიმძლავრის დასადასტურებლად.

მიუხედავად COVID-19-ით პაციენტებში ამ ბიომარკერების განსაზღვრის სარგებლიანობისა, მათი განსაზღვრა არ არის ხელმისაწვდომი დაბალი დონის ჯანმრთელობის ცენტრებში. ამიტომ, მნიშვნელოვანია ლაბორატორიული ბიომარკერების გამოყენება ხელმისაწვდომი იყოს ყველა დონის სამედიცინო დაწესებულებაში, პროგნოზის მიხედვით პაციენტების ადრეული კლასიფიკაციის მიზნით.

ბიოქიმიური მარკერების გარდა, მნიშვნელოვან ინფორმაციას ანთებით, ინფექციურ და კოაგულაციის ფაქტორებთან დაკავშირებით გვაწვდის **სისხლის საერთო ანალიზი** [ii,iii]. ჰემატოლოგიური მარკერები რეგულარულად ფასდება ჰოსპიტალიზაციის დროს და სტაციონარში მოთავსებული ზომიერი ან მძიმე პაციენტების მეთვალყურეობის დროს. ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოავლინდა მნიშვნელოვანი კავშირი ლიმფოპენიას, თრომბოციტოპენიასა და CRP, PCT, LDH, D-დიმერის მომატებულ მაჩვენებლებსა და COVID-19 მძიმე მიმდინარეობას შორის [iv].

IL-6, IL-8, CRP და თრომბოციტების მარკერები კორელირებენ სხვა მარკერებთან. IL-6 დადებით კორელაციას ამჟღავნებს ნეიტროფილებთან ($r = 0,5410$, $p < 0,0001$), IL-8 ($r = 0,6371$, $p < 0,0001$), IL-10 ($r = 0,0$), TNF-a ($r = 0,5134$, $p < 0,0001$), CRP ($r = 0,5965$, $p < 0,0001$) და PCT ($r = 0,6602$, $p < 0,00$)-თან. იმავედროულად, იგი უარყოფით კორელაციაშია ლიმფოციტებთან ($r = -0,4528$, $p < 0,0001$), ჰემოგლობინთან ($r = -0,2246$, $p = -0,2246$, $p = -0,0096$, $p = -0,0096$ ($r = -0,5$, $p = 50,0096$) და თრომბოციტებთან ($p < 0,0001$) (ნახ. 3). მსგავსი შედეგი ასევე დაფიქსირდა დანარჩენ ორ იმუნურ-ანთებით ბიომარკერთან (IL-8 და CRP). აღმოჩნდა, რომ IL-8 დადებითად კორელირებს ნეიტროფილებთან ($r = 0,4277$, $p < 0,0001$), IL-6 ($r = 0,6371$, $p < 0,0001$), IL-10 ($r = 0,60$), TNF-a ($r = 0,6182$, $p < 0,0001$), CRP ($r = 0,4294$, $p < 0,0001$) და PCT ($r = 0,4722$, $p = 0,4359$, $p < 0,0001$), ჰემოგლობინთან ($r = -0,1822$, $p = 0,0331$) და თრომბოციტების რაოდენობასთან ($r = -0,4142$, $p < 0,0001$) (ნახ. 4). გარდა ამისა, CRP-ის საწყისი დონე დადებით კორელაციაში იყო ნეიტროფილებთან ($r = 0,5191$, $p < 0,0001$), IL-6 ($r = 0,6082$, $p < 0,0001$)[151],

IL-10 ($r = 0,5662$, $p < 0,0001$), როგორი კორელაციაა???? დაკავშირებულია TNF-a ($r = 0,4145$, $p < 0,0001$) და PCT-სთან ($r = 0,7013$, $p = 0,5885$, $p < 0,0001$),

ჰემოგლობინის ($r = -0.1996$, $p = 0.0198$) და თრომბოციტების რაოდენობასთან ($r = -0.4799$, $p < 0.0001$) (ნახ. 5). გარდა ამისა, საინტერესოა საერთო უარყოფითი ურთიერთდამოკიდებულება თრომბოციტების რაოდენობასა და სხვა პარამეტრებს შორის, მათ შორის ნეიტროფილებს ($r = -0.4067$, $p < 0.0001$), IL-6 ($r = -0.5155$, $p < 0.0001$), IL-10 ($r = -0.4142$, $p < 0.0001$), TNF- α ($r = -0.3399$, $p = 0.3399$, $p = 0.4799$, $p < 0.0001$) და PCT ($r = -0.5332$, $p < 0.0001$) შორის. ამავდროულად, თრომბოციტების რაოდენობა დადებითად კორელირებდა ლიმფოციტებთან ($r = 0.4145$, $p < 0.0001$) და ჰემოგლობინთან ($r = 0.2396$, $p = 0.0010$)^[v].

სისტემური ანთების არსებობა, რომელიც ისახდვრება **CRP მაჩვენებლით**, COVID-19-ის მქონე პაციენტებში სარწმუნო კორელაციაშია ვენურ თრომბოემბოლიასთან, თირკმლის მწვავე უკმარისობასთან, კრიტიკულ დაავადებასთან და სტაციონარულ სიკვდილიანობასთან [116, 11].

CRP არის მწვავე ფაზის ცილა, რომელიც ემსახურება ანთების ან ინფექციის მაჩვენებელ ადრეულ მარკერს. ზოგიერთ ჩინურ პუბლიკაციაში, ჩინელი მკვლევარების ავტორობით, მოხსენებულია CRP-ის პროგნოზული მნიშვნელობაც [4, 117].

COVID-19-ით პაციენტთა შრატში **ფერიტინის** მაღალი დონე აღმოჩნდა ჰოსპიტალური სიკვდილიანობის დამოუკიდებელი პრედიქტორი [7] და ამის გათვალისწინებით, შეიძლება გამოყენებულ იქნას სიკვდილიანობის პროგნოზირებისთვის [28, 136].

შრატში ფერიტინის მაჩვენებლები დადებით კორელაციაში იყო COVID-19-ის სიმძიმესთან. ჰიპერფერიტინემია (ფერიტინის დონე > 500 მკგ/ლ) დაფიქსირდა ყველა მძიმე დაავადების მქონე პაციენტში კლინიკაში მოთავსების დროს. უფრო მეტიც, ROC მრუდის ანალიზმა დაადასტურა შრატის ფერიტინის ძალიან მაღალი პროგნოზული სიზუსტე მძიმე კლინიკური მდგომარეობის მქონე პაციენტებში. (AUC 0,939, CI: 0,894 დან 0,985 $p < 0,001$) [47]. სხვა მონაცემებით, >1873.0 ნგ/მლ ფერიტინისთვის, დაფიქსირდა მგრძნობელობა 68.4% და სპეციფიკურობა 79.3% [81].

COVID-19-ის დროს ჰიპერფერიტინემიამ გამოვლინდა პაციენტების 29,93% (44/147). ჰიპერფერიტინემიის ჯგუფს აღენიშნებოდა მძიმე შემთხვევების უფრო

მაღალი პროპორცია (31.82% 9.71%-ის წინააღმდეგ, $P=0.0009$) და ფილტვის ორმხრივი ინფილტრაციის მაჩვენებელი (95.45% 79.61%-ის წინააღმდეგ, $P=0.0297$), ვიდრე პაციენტებში ჰიპერფერიტინემიის გარეშე. ჰიპერფერიტინემიული პაციენტები იყვნენ უფრო ხანდაზმულები და ძირითადად მამაკაცები. უფრო მეტიც, ამ პაციენტებს ჰქონდათ შრატის კრეატინინის, ALT, AST და LDH მნიშვნელოვნად მაღალი დონე, ლიმფოციტების დაბალი დონე და ანთებითი მარკერების მნიშვნელოვნად მაღალი დონე, როგორცაა CRP, PCT და D-დიმერი, ვიდრე პაციენტებს არაჰიპერფერიტინემიის ჯგუფში. ყველა ეს მაჩვენებელი განიხილება როგორც გამაფრთხილებელი პარამეტრები მძიმე ან კრიტიკული COVID-19-ით პაციენტებისთვის [80].

მთავარი ღონისძიება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს დაავადების პრევენციისა და კონტროლისთვის, არის რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც დაკავშირებულია დაავადების გართულებებისა და სიკვდილიანობის პროგნოზთან. ასევე, მნიშვნელოვანია COVID-19-ით გადარჩენისა და სიკვდილიანობის რისკ-ფაქტორების გამოკვლევა და მათ ურთიერთობა COVID-19 დიაგნოზის მქონე პირების დემოგრაფიულ მახასიათებლებთან.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ COVID-19-ის შესახებ არსებობს სამედიცინო-სამეცნიერო მრავალრიცხოვანი ლიტერატურა, დღემდე დაავადების განვითარებისა და პროგნოზის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. არ მოიპოვება კომპლექსური კვლევა, რომელიც შეისწავლიდა მძიმედ მიმდინარე COVID-19-ის გართულებებსა და გამოსავალს საქართველოს პოპულაციაში, რაც განაპირობებს ჩვენი კვლევის აქტუალობას.

თავი II

კვლევის მასალა და მეთოდები

ჩვენი კვლევის ფარგლებში რეტროსპექტულად გამოკვლეულ იქნა ალ. ალადაშვილის სახელობის კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში მოთავსებული 270 COVID-19-ის მქონე პაციენტი ქრონიკული/თანმხლები დაავადებებით. კვლევა ჩატარდა 2020-2023 წლებში.

შესწავლილ იქნა: პაციენტთა დემოგრაფიული მონაცემები, სამედიცინო ისტორია – გადატანილი დაავადებები, ქრონიკული დაავადებები, მაღალი რისკის ქცევების არსებობა და ლაბორატორიული მახასიათებლები.

კვლევაში პაციენტთა ჩართვის კრიტერიუმები:

ალ. ალადაშვილის სახ. კლინიკაში COVID-19-ის დადასტურებული დიაგნოზის მქონე ჰოსპიტალიზებული პაციენტები, რომლებიც მოთავსებულნი იყვნენ რეანიმაციულ განყოფილებაში (2020-2023 წწ. პერიოდში) მძიმე მიმდინარეობით

კვლევაში პაციენტთა გამორიცხვის კრიტერიუმები:

კოვიდ-19-ის მსუბუქი მიმდინარეობის შემთხვევები, თანმხლები დაავადებების არარსებობა,

კვლევაში გამოყენებული იყო ჩვენს მიერ შემუშავებული სტრუქტურირებული ანკეტა–კითხვარი (ცხრილი 2.1), რომელიც მოიცავდა ინფორმაციას პაციენტების:

- ანამნეზის,
- ექოსკოპიური, კარდიოგრაფიული, კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევის შედეგების,
- კლინიკურ-ლაბორატორიული და ბიოქიმიური ანალიზების მონაცემების შესახებ.

კვლევის დიზაინი განხილულია და დამტკიცებულია საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ეთიკის კომისიაზე.

ანკეტა

სქესი	მდედრობითი (1) ; მამრობითი (0)
ასაკი	65 წ.-ს ზევით (1) ; 65 წ.-ს ქვევით (0)
მავნე ჩვევები	ნიკოტინი კი (1) არა (0)
	ალკოჰოლი კი (1) არა (0)
	ნარკოდამოკიდებულება კი(1) არა (0)
გენეტიკური დატვირთვა	კი (1) არა (0)
თანმხლები დაავადებები	
კარდიოლოგია	გულის უკმარისობა კი (1) არა (0)
	გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტი კი(1) არა (0)
	პულმონური ჰიპერტენზია კი (1) არა (0)
	არტერიული ჰიპერტენზია კი (1) არა (0)
	სტენოკარდია კი (1) არა (0)
	გულის მანკი კი (1) არა (0)
	არითმია კი (1) არა (0)
	კარდიომიოპათია კი (1) არა (0)
	სითხე პერიკარდიურის ღრუში კი (1) არა (0)
ნევროლოგია	გადატანილი ინსულტი კი (1) არა (0)
	სხვა ნევროლოგიური პათოლოგიები (ნეიროპათია) კი (1) არა (0)
	ტრანზიტორული იშემიური შეტევა კი (1) არა (0)
	თავის მძიმე ტრავმა კი (1) არა (0)
	ეპილეფსია კი (1) არა (0)
	დემენცია კი (1) არა (0)
	ალცჰაიმერი კი (1) არა (0)
პულმონოლოგია/ ფთიზიატრია	გადატანილი პნევმონია კი (1) არა (0)
	გადატანილი TBC კი (1) არა (0)

	ფქოდი კი (1) არა (0)
	გადატანილი ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია კი (1) არა (0)
	ჰიდროთორაქსი კი (1) არა (0)
	ბრონქული ასთმა კი (1) არა (0)
	ფილტვის აბსცესი კი (1) არა (0)
	პლევრიტი კი (1) არა (0)
ენდოკრინოლოგია	შაქრიანი დიაბეტი კი (1) არა (0)
	სიმსუქნე კი (1) არა (0)
	ჰიპოთორეოზი ან ჩიყვი კი (1) არა (0)
გასტროენტეროლოგია	კუჭის ან თორმეტგოჯას წყლულოვანი პათოლოგია კი (1) არა (0)
	საყლაპავის ვენების ვარიკოზი კი (1) არა (0)
	გასტრიტი /ეროზია კი (1) არა (0)
	ნაღველკენჭოვანი დაავადება კი (1) არა (0)
	პანკრეატიტი კი (1) არა (0)
ფსიქიატრია	შიზოფრენია კი (1) არა (0)
	ნერვული აშლილობა კი (1) არა (0)
ჰეპატოლოგია	ჰეპატიტი C კი (1) არა (0)
	ჰეპატიტი B კი (1) არა (0)
	ღვიძლის ქრონიკული უკმარისობა კი (1) არა (0)
	შიდსი კი (1) არა (0)
	ღვიძლის ციროზი კი (1) არა (0)
ანგიოლოგია	ქვ.კიდურების სისხლძარღვების ვარიკოზები კი (1) არა (0)
	საძილე არტერიების ოკლუზია ან სტენოზი კი (1) არა (0)
	გულმკერდის აორტის ანევრიზმა კი (1) არა (0)
	მუცლის აორტის ანევრიზმა კი (1) არა (0)
ნეფროლოგია	თირკმლის უკმარისობა კი (1) არა (0)

	შარდკენჭოვანი დაავადება კი (1) არა (0)
	თიკმლის ამილოიდოზი კი (1) არა (0)
ონკოლოგიური პათოლოგიები	გასტროინტესტინური ტრაქტი (კუჭი, საყლაპავი, ნაჭლავი)
	თავის ტვინის
	ფილტვის/შუასაყრის
	ღვიძლის
	პანკრეასის
	სარძევე ჯირკვლის
	ფარისბრი ჯირკვლის
	საშვილოსნოს
	პროსტატის
	თირკმლის
	კანის და რბილის ქსოვილების
	ონკოჰემატოლოგია
	შარდის ბუშტი და საშარდე გზები
	ჩატარებული ქიმიო ან სხივური თერაპია
ჰემატოლოგია	ანემია კი (1) არა (0)
	კოაგულოპათია კი (1) არა (0)
მკურნალობის პერიოდის გართულებები	ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია კი (1) არა (0)
	სუნთქვის მწვავე უკმარისობა კი (1) არა (0)
	შოკი დაუზუსტებელი კი (1) არა (0)
	ქვ. ან ზემო კიდურების არტერიის ემბოლია კი (1) არა (0)
	მეზენტერიალური არტერიის თრომბოზი კი (1) არა (0)
	მიოკარდიუმის ინფარქტი კი (1) არა (0)
	სითხე პერიკარდიუმის ღრუში კი (1) არა (0)
	პარკუჭთა ფიბრილაცია კი (1) არა (0)

	მოციმციმე არითმია კი (1) არა (0)
	იშემიური ინსულტი კი (1) არა (0)
	სპონტანური ჰემორაგიული ინსულტი კი (1) არა (0)
	ღვიძლის მწ.უკმარისობა კი (1) არა (0)
	თირკმლის მწ.უკმარისობა კი (1) არა (0)
	ბაქტერიული პნევმონია კი (1) არა (0)
	სეფსისი-სეპტიური შოკი კი (1) არა (0)
	გასტროდუოდენალური სისხლდენა კი (1) არა (0)
	ჰიპერგლიკემია (შაქრიანი დიაბეტი) კი (1) არა (0)
	ციტოკინური შტორმი კი (1) არა (0)
	საშარდე გზების ინფექცია კი (1) არა (0)
	პულმონური ჰიპერტენზია კი (1) არა (0)
	რესპირატორული დისტრესი კი (1) არა (0)
	ანემია კი (1) არა (0)
	კოაგულოპათია კი (1) არა (0)
	სპონტანური პნევმოთორაქსი კი (1) არა (0)
	ჰიდროთორაქსი კი (1) არა (0)
	ემფიზემა (კანქვეშა) კი (1) არა (0)
	პნევმომედიასტინიტი კი (1) არა (0)
	ენცეფალოპათია (დაუზუსტებელი) კი (1) არა (0)
	ნაწოლები კი (1) არა (0)
	ლარინგიტი-ტრაქეიტი კი (1) არა (0)
	ანტიკოაგულანტის ფონზე განვითარებული რბილი ქსოვილების ჰემატომა კი (1) არა (0)
ჩატარებული ოპერაციები :	აორტო-კორონარული შუნტირება კი (1) არა (0)
კარდიოლოგია	კორონარული ანგიოპლასტიკა კი (1) არა (0)
	სარქველის პროტეზირება კი (1) არა (0)
პულმოლოგია	ლობექტომია კი (1) არა (0)

ნეიროქირურგია	ქლასსარქველის ტრეპანაცია კი (1) არა (0)
	ვენტრიკულო-პერიტონეალური შუნტირება კი (1) არა (0)
ენდოკრინოლოგია	სტრუმექტომია კი (1) არა (0)
	ფარისებრი ჯირკვლის რეზექცია კი (1) არა (0)
ქირურგია	კუჭის რეზექცია კი (1) არა (0)
	ნაწლავის რეზექცია კი (1) არა (0)
	ქოლეცისტექტომია კი (1) არა (0)
	აპენდექტომია კი (1) არა (0)
	თიაქარკვეთა/პლასტიკა კი (1) არა (0)
	ჩატარებული მასტექტომია კი (1) არა (0)
	ჰისტერექტომია კი (1) არა (0)
	ბარიატრიული ქირურგია კი (1) არა (0)
	ნეფრექტომია კი (1) არა (0)
	სპლენექტომია კი (1) არა (0)
	სისხლძარღვებზე ჩატარებული ოპერაციული ჩარევები კი (1) არა (0)
	ტრავმატოლოგიური ოპერაციები კი (1) არა (0)
ჩატარებული ვაქცინაციები	კი (1) არა (0)
მკურნალობის პერიოდში ჩატარებული მანუპულაციები და ოპერაციები	პლევრის დრენირება კი (1) არა (0)
	ფ.ხ.ვ. კი (1) არა (0)
	ფ.ხ.ვ. - ხანგრძლივობა
	მაღალნაკადური ოქსიგენაცია HF
	არაინვაზიური CPAP
	კორონაროგრაფია კი (1) არა (0)
	ჩატარებული კორონარული ანგიოპლასტიკა (სტენტირება)
	ინტრაცერებრული ჰემატომის ევაკუაცია კი (1) არა (0)

	დეკომპრესიული ტრეპანაცია კი (1) არა (0)
	ჰემოდიალიზი კი (1) არა (0)
	შუასაყრის დრენირება კი (1) არა (0)
	ლაპარატომია კი (1) არა (0)
	კიდურების ამპუტაცია კი (1) არა (0)
	ჩატარებული ჰემოტრანსფუზია კი (1) არა (0)
	ქოლცესტექტომია კი (1) არა (0)
	ნაწლავის რეზექცია კი (1) არა (0)
	ტრაქეოსტომია კი (1) არა (0)
	ბრონქოსკოპია კი (1) არა (0)
	ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია - ლიგირება/აპლიკაცია კი (1) არა (0)
	თიაქარკვეთა/პლასტიკა კი (1) არა (0)
ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევები	სისხლის საერთო ანალიზი კი (1) არა (0)
	კოაგულოგრამა კი (1) არა (0)
	ღვიძლის ფუნქციები კი (1) არა (0)
	კრეატინინი კი (1) არა (0)
	შარდოვანა კი (1) არა (0)
	D-Dimer კი (1) არა (0)
	LDH კი (1) არა (0)
	PCT კი (1) არა (0)
	ფერიტინი კი (1) არა (0)
	ტროპონინი I კი (1) არა (0)
	გლუკოზა სისხლში კი (1) არა (0)
	სისხლის ჯგუფი და რეზუსი
	ABG-EL კი (1) არა (0)
	სისხლის ბაქტერიოლოგიური კვლევა კი (1) არა (0)
	შარდის ბაქტერიოლოგიური კვლევა კი (1) არა (0)
	ნახველის ბაქტერიოლოგიური კვლევა კი (1) არა (0)

	ჭრილობის ბაქტერიოლოგიური კვლევა კი (1) არა (0)
	პუნქტატის ბაქტერიოლოგიური კვლევა კი (1) არა (0)
	ციტოლოგია კი (1) არა (0)
	ALB კი (1) არა (0)
	IL -6 კი (1) არა (0)
	გულმკერდის CT/ ანგიო კი (1) არა (0)
	დაზიანების ხარისხი
	მუცლის CT კი (1) არა (0)
	თავის CT კი (1) არა (0)
	რბილი ქსოვილების ექოსკოპია კი (1) არა (0)
	საშარდე სისტემის ულტრასონოგრაფია კი (1) არა (0)
	მუცლის ღრუს ულტრასონოგრაფია კი (1) არა (0)
პლევრის ულტრასონოგრაფია	ჰიდროთორაქსი კი (1) არა (0)
გულის ულტრასონოგრაფია	განდევნის ფრაქცია EF
	წნევა ფილტვის არტერიაში PAP
სითხე პერიკარდიურის ღრუში	კი (1) არა(0)
სისხლძარღვთა დუპლექს სკანირება	პათოლოგია საძილე არტერიებში/საუღლე ვენებში კი (1) არა (0)
	პათოლოგია ზემო ან ქვემო კიდურის არტერიებში/ვენებში კი (1) არა (0)
	ელექტროკარდიოგრამა
	ე.ე.გ
საწოლდღე	14 დღეზე ნაკლები (0), 14 დღეზე მეტი (1)
გამოსავალი	გამოჯანმრთელება/გაუმჯობესება კი (1) ლეტალობა არა (0)

სტატისტიკური ანალიზი

კლინიკური მასალა დამუშავდა სტატისტიკური პროგრამების პაკეტის SPSS 23–ის გამოყენებით. ამასთან

- რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასებისას ვითვლიდით საშუალოს, საშუალო კვადრატულ გადახრას, ხოლო ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის გამოთვლილი იქნა სიხშირე და პროცენტული მაჩვენებელი;
- ჯგუფებს შორის განსხვავების სარწმუნოება რაოდენობრივი მაჩვენებლების შემთხვევაში დადგინდა სტუდენტის t კრიტერიუმის გამოყენებით, შედარებისას მოხდა დისპერსიების ტოლობის შეფასება ლევენის მიხედვით (Levene's Test), ხოლო ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ჯგუფებს შორის განსხვავების შეფასება ჩატარდა – F (ფიშერის) კრიტერიუმით;
- კორელაციები ხარისხობრივ ფაქტორებს შორის განისაზღვრა სპირმენის (Spearman) რანგული კორელაციის საშუალებით, ხოლო რაოდენობრივის შემთხვევაში - პირსონის კორელაციური ანალიზით;
- ფარდობითი შანსის დადგენა მოხდა რეგრესიული ანალიზის საშუალებით.
- ანთების მარკერების დიგნოსტიკური ღირებულება დადგინდა ROC ანალიზის საშუალებით;


თავი III

საკუთარი კვლევის შედეგები

3.1. კლინიკური მასალის დახასიათება


ჩვენ მიერ შესწავლილი და გაანალიზებული იქნა ალ. ალადაშვილის სახელობის კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში მოთავსებული COVID-19-ის მქონე 270 პაციენტის კლინიკური მასალა, რომელთაც აღენიშნებოდათ ქრონიკული დაავადებები. მათგან 151 იყო ქალი და 120 მამაკაცი. რაც შეეხება *ასაკობრივ განაწილებას*, კვლევაში ჩართული პირების ასაკი მერყეობდა 18-დან 92 წლამდე, საშუალო ასაკი იყო 41 წელი.

განაწილება სქესის მიხედვით მოცემულია 3.1.1 დიაგრამაზე, როგორც ვხედავთ, სარწმუნო განსხვავება ამ მონაცემში არ დაფიქსირდა.




დიაგრამა 3.1.1.

ჩვენს მასალის მიხედვით არასარწმუნოდ მეტი იყო მდედრობითი სქესი.



დიაგრამა 3.1.2


განაწილება მავნე ჩვევების მიხედვით მოცემულია 3.1.3 დიაგრამაზე.



დიაგრამა 3.1.3

როგორც დიაგრამიდან ვხედავთ, მავნე ჩვევებში პრევალირებს თამბაქოს მოხმარება.


ანამნეზში კარდიოლოგიური პათოლოგიების განაწილება მოცემულია 3.1.4. დიაგრამაზე



დიაგრამა 3.1.4

ყველაზე მაღალი სიხშირით გამოირჩევა არტერიული ჰიპერტენზია.


პაციენტთა განაწილება სისხლის ჯგუფების მიხედვით მოცემულია დიაგრამა 3.1.5-ზე.



დიაგრამა 3.1.5

როგორც დიაგრამიდან ვხედავთ, 0 და A ჯგუფების სიხშირე COVID-19 მძიმე მიმდინარეობის დროს თითქმის ერთნაირია, მაშინ როდესაც 0 ჯგუფის პოპულაციური სიხშირე სხვადასხვა მონაცემების მიხედვით, ქართულ პოპულაციაში, 50-53%-ის ფარგლებშია.


ენდოკრინულ დაავადებებში პრევალირებს შაქრიანი დიაბეტი(დიაგრამა 3.1.6.).



დიაგრამა 3.1.6


პაციენტთა 31.5%-ს ანამნეზში აღენიშნებიდათ შაქრიანი დიაბეტი, 10%-ს სიმსუქნე, 8%-ს ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგია.

ნევროლოგიური მახასიათებლების სიხშირეები რეანიმაციულ COVID-19-ით პაციენტებში მოცემულია 3.1.7. დიაგრამაზე.



დიაგრამა 3.1.7


ნევროლოგიური მახასიათებლებიდან გამოირჩევა ინსულტი და დემენცია.



დიაგრამა 3.1.8

ფსიქიატრიული მახასიათებლებიდან შეგვხვდა შიზოფრენიის 1 შემთხვევა.


ანგიოლოგიური მახასიათებლები მოცემულია დიაგრამა 3.1.9-ზე



დიაგრამა 3.1.9

ანგიოლოგიური მახასიათებლებიდან ყველაზე მაღალი სიხშირით გამორჩეოდა ქვემო კიდურების სისხლძარღვთა ვარიკოზი (10.4%).

პულმონოლოგიური/ფთიზიატრიული მახასიათებლები – დიაგრამა 3.1.10.




დიაგრამა 3.1.10

როგორც დიაგრამიდან ჩანს, პაციენტთა 23%-ს გადატანილი ჰქონდა პნევმონია, 2%-ს ტუბერკულოზი, 23.3%-ს ჰიდროთორაქსი, 13.7%-ს აღენიშნებოდა ფქოდი, ხოლო 1%-ს – ბრონქული ასთმა.

აღსანიშნავია, რომ თანმხლები და გადატანილ პულმონოლოგიურ დაავადებებს შორის მაღალი სიხშირით გამოირჩევა პნევმონია, ჰიდროთორაქსი და ფქოდი.


გასტროენტეროლოგიური დაავადებების განაწილება მოცემულია 3.1.11 დიაგრამაზე.




დიაგრამა 3.1.11

გასტროენტეროლოგიური დაავადებებიდან პრევალირებენ გასტრიტი (9%) და წყლულოვანი პათოლოგიები (6.3%).

დიაგრამა 3.1.12 მოცემულია რენიმაციულ COVID-19-ით პაციენტებში ჰეპატოლოგიური მახასიათებლები. პაციენტთა შორის მაღალი იყო C ჰეპატიტის წილი (4%), B ჰეპატიტთან, ღვიძლის ქრონიკული უკმარისობასა და ღვიძლის ციროზთან შედარებით.




დიაგრამა 3.1.12




დიაგრამა 3.1.13

რაც შეეხება ნეფროლოგიურ მახასიათებლებს, პაციენტთა 8%-ს აღნიშნებოდა თირკმლის უკმარისობა, ხოლო 1.5% აღნიშნავდა შარდ-კენჭოვანი დაავადების არსებობას.

ონკოლოგიური პათოლოგიებიდან ყველაზე ხშირი იყო სარძევე ჯირკვლის (4.4%) კობო, შემდეგ საშვილოსნოს (3.3%) და პროსტატის კიბო (3%).





დიაგრამა 3.1.12

ჰემატოლოგიური პათოლოგიებიდან ანემია დაფიქსირდა პაციენტთა 14,4%-ში, ხოლო კოაგულოპათია – 2,2%-ში.

3.2. კორელაციები პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებსა და გართულებებს შორის

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, კომორბიდების მქონე პაციენტების ინიციალური მახასიათებლები კორელირებენ კოვიდის გართულებებთან.


ჩვენს მიერ შესწავლილ პაციენტებს შორის COVID-19-ის დროს გამოვლენილი გართულებები მოცემულია 3.2.1 ცხრილში

ცხრილი 3.2.1. COVID-19-ის დროს გამოვლენილი გართულებები თანმხლები დავადებების მქონე პაციენტებში

	გართულებები	N	%
ფილტვისმიერი გართულებები	ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია	25	9.26
	სუნთქვის მწვავე უკმარისობა	267	98.89
	რესპირატორული დისტრესი	180	66.67
	პულმონური ჰიპერტენზია	9	3.33
	სპონტანური პნევმოთორაქსი	4	1.48
	ჰიდროთორაქსი	86	31.85
	პნევმომედიასტინიტი	4	1.48
	ბაქტერიული პნევმონია	243	90.00
	ლარინგიტი/ტრაქეიტი	1	0.37
	ციტოკინური შტორმი	85	31.48
შოკი	სეფსისი/სეპტიური შოკი	66	24.44
	შოკი დაუზუსტებელი	33	12.22
კარდიოლოგიური გართულებები	მიოკარდიუმის ინფარქტი	13	4.81
	სითხე პერიკარდიუმის ღრუმში	13	4.81
	მოციმციმე არითმია	1	0.37
ნევროლოგიური გართულებები	იშემიური ინსულტი	9	3.33
	სპონტანური ჰემორაგიული ინსულტი	5	1.85


	ენცეფალოპათია (დაუზუსტებელი)	18	6.67
	ღვიძლის მწვავე უკმარისობა	6	2.22
	თირკმლის მწვავე უკმარისობა	31	11.48
	ჰიპერგლიკემია	8	2.96
ანგიოლოგია	ქვემო ან ზემო კიდურების არტერიის ემბოლია	4	1.48
	მეზენტერიალური არტერიის თრომბოზი	0	0.00
ჰემატოლოგია	კოაგულოპათია	14	5.19
	ანემია	47	17.41
	ანტიკოაგულანტის ფონზე განვითარებული რბილი ქსოვილების ჰემატომა	6	2.22
	გასტროდუოდენალური სისხლდენა	9	3.33
	საშარდე გზების ინფექცია	75	27.78

ნევროლოგიურ გართულებებს შორის პრევალირებს დაუზუსტებელი ენცეფალოპათია (დიაგრამა 3.2.1)



დიაგრამა 3.2.1


COVID-19 დროს ფილტვისმიერი გართულებები მოცემულია 3.2.2 დიაგრამაზე



დიაგრამა 3.2.2

ფილტვისმიერი გართულებებიდან ყველაზე მაღალი სიხშირით გამოირჩევა სუნთქვის მწვავე უკმარისობა, ბაქტერიული პნევმონია და რესპირატორული დისტრესი.

3.2.3 დიაგრამაზე წარმოდგენილია გართულებები გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ (%).



დიაგრამა 3.2.3

კავშირი პაციენტის საწყის მახასიათებლებს შორის მოცემულია 3.2.2 ცხრილში

ცხრილი 3.2.2. კორელაციები ინიციალურ მახასიათებლებს შორის

		გულის უკმარისობა	გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტი	პულმონური ჰიპერტენზია	არტერიული ჰიპერტენზია	გულის მანკი	ჰიდროთორაქსი
ასაკი >65 წ.	r	.346**	.193**	.253**	.245**	.315**	.238**
	p	0.000	0.001	0.000	0.000	0.000	0.000
	r	0.073	-0.032	.128*	-.169**	0.085	0.112

ჩატარებული ქიმიო ან სხივური თერაპი	p	0.230	0.605	0.036	0.005	0.162	0.068
გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტი	r	.364**					
	p	0.000	-	-	-	-	-
პულმონური ჰიპერტენზია	r	.225**	0.103	-	-	-	-
	p	0.000	0.092	-	-	-	-
არტერიული ჰიპერტენზია	r	.134*	0.102	-0.037	-	-	-
	p	0.027	0.096	0.545	-	-	-
გულის მანკი	r	.556**	.245**	.345**	0.110	-	-
	p	0.000	0.000	0.000	0.071	-	-
ჰიდროთორაქსი	r	.245**	.148*	0.102	0.004	.262**	-
	p	0.000	0.015	0.096	0.948	0.000	-
თირკმლის უკმარისობა	r	.166**	.177**	.171**	-0.020	.188**	.255**
	P	0.006	0.004	0.005	0.747	0.002	0.000

როგორც ცხრილიდან ჩანს, COVID-19-ის მქონე პაციენტებში:

- გულის უკმარისობასთან კორელირებს: ასაკი >65 წ., გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტი, პულმონური ჰიპერტენზია, არტერიული ჰიპერტენზია, გულის მანკი, ჰიდროთორაქსი, თირკმლის უკმარისობა;
- გადატანილ მიოკარდიუმის ინფარქტთან კორელირებს – ასაკი >65 წ., გულის მანკი, ჰიდროთორაქსი, თირკმლის უკმარისობა;
- პულმონურ ჰიპერტენზიასთან კორელირებს: ასაკი >65 წ., ჩატარებული ქიმიო ან სხივური თერაპია, გულის მანკი, თირკმლის უკმარისობა;
- არტერიულ ჰიპერტენზიასთან სარწმუნო დადებით კოელაციას ამჟღავნებს 65 წელზე მეტი ასაკი და უარყოფით – ჩატარებული ქიმიო ან სხივური თერაპია;
- გულის მანკთან კორელირებს ასაკი >65 წ. ჰიდროთორაქსი და თირკმლის უკმარისობა;

➤ ჰიდროთორაქსთან კორელირებს ასაკი >65 წ. და თირკმლის უკმარისობა,

კვლევის მომდევნო ეტაპზე შევისწავლეთ კორელაციები COVID-19-ის გართულებებსა და ინიციალურ მახასიათებლებს შორის (ცხრილი 3.2.3, 3.2.4, 3.2.5)

ცხრილი 3.2.3. კორელაციები COVID-19-ის გართულებებსა და ინიციალურ მახასიათებლებს შორის (1)

		შოკი დაუზუსტებელი	ქვ. ან ზემო კიდურების არტერიის ემბოლია	მიოკარდიუმის ინფარქტი	თირკმლის მწვავე უკმარისობა	სეფსისი/ს ეპტიური შოკი	გასტროდუოდენალური სისხლდენა
ასაკი>65	r	.134*	0.027	-0.015	.121*	.126*	0.008
	p	0.028	0.665	0.809	0.048	0.038	0.900
ჩატარებული ქიმია ან სხივური თერაპია	r	-0.023	-0.008	-0.014	-0.022	-0.034	-0.011
	p	0.709	0.902	0.822	0.719	0.573	0.853
გულის უკმარისობა	r	0.035	0.085	.236**	.150*	0.113	0.013
	p	0.571	0.163	0.000	0.014	0.063	0.826
გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტი	r	0.028	.162**	.265**	.126*	0.111	0.055
	p	0.648	0.008	0.000	0.039	0.069	0.366
პულმონური ჰიპერტენზია	r	0.113	0.099	0.026	0.097	0.110	-0.089
	p	0.065	0.104	0.671	0.113	0.072	0.146
არტერიული ჰიპერტენზია	r	0.064	0.044	0.081	0.094	0.041	0.067
	p	0.296	0.469	0.184	0.125	0.508	0.272
გულის მანკი	r	0.044	0.107	0.059	-0.012	0.037	0.042
	p	0.473	0.080	0.337	0.845	0.547	0.495
ჰიდროთორაქსი	r	0.091	0.006	0.000	0.024	.124*	0.095
	p	0.135	0.926	0.998	0.700	0.042	0.122
	r	0.012	-0.037	-0.004	0.020	0.053	0.020

თირკმლის უკმარისობა	p	0.839	0.549	0.948	0.747	0.383	0.745
---------------------	---	-------	-------	-------	-------	-------	-------

როგორც ცხრილიდან ჩანს,

- დაუზუსტებელი შოკი და თირკმლის მწვავე უკმარისობა კორელირებს 65 წელზე უფროს ასაკთან,
- ქვემო ან ზემო კიდურების არტერიის ემბოლია და თირკმლის მწვავე უკმარისობა – გადატანილ მიოკარდიუმის ინფარქტთან და გულის უკმარისობასთან,
- მიოკარდიუმის ინფარქტი - გადატანილ მიოკარდიუმის ინფარქტთან,
- სეფსისი/სეპტიური შოკი - ჰიდროთორაქსთან.

ცხრილი 3.2.4. კორელაციები კოვიდ-19-ის გართულებებსა და ინიციალურ მახასიათებლებს შორის (2)

		ჰიპერ-გლიკემია	პულმონური ჰიპერტენზია	ანემია	კოაგულოპათია	ჰიდროთორაქსი	სპონტანური პნევმოთორაქსი
65 წ.ს ზევით	r	-0.008	0.051	0.094	-0.002	.218**	0.091
	p	0.896	0.405	0.123	0.975	<0.001	0.138
ჩატარებული ქიმიოან სხივური თერაპი	r	-0.011	-0.011	-0.028	-0.014	0.090	-0.008
	p	0.861	0.853	0.646	0.815	0.142	0.902
გულის უკმარისობა	r	.166**	.140*	0.075	-0.059	.199**	-0.040
	p	0.006	0.022	0.218	0.337	0.001	0.517
გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტი	r	.177**	0.055	-0.047	-0.040	<0.001	-0.064
	p	0.004	0.366	0.443	0.518	0.997	0.298
პულმონური ჰიპერტენზია	r	-0.084	.283**	.158**	0.103	.169**	0.020
	p	0.171	<0.001	0.010	0.091	0.006	0.741

არტერიული ჰიპერტენზია	r	-0.005	0.067	-0.018	-0.020	0.045	-0.052
	p	0.930	0.272	0.770	0.741	0.463	0.397
გულის მანკი	r	0.014	0.042	.126*	0.045	.122*	-0.088
	p	0.824	0.495	0.039	0.465	0.045	0.151
ჰიდროტორაქსი	r	0.060	-0.004	.213**	0.070	.350**	0.079
	p	0.326	0.952	<0.001	0.249	<0.001	0.199
თირკმლის უკმარისობა	r	-0.052	0.095	0.006	-0.070	0.089	0.075
	p	0.393	0.119	0.927	0.253	0.146	0.218

მომდევნო მონაცემებით,

- ჰიპერგლიკემიასთან სარწმუნო დადებით კორელაციას ავლენს: გულის უკმარისობა და გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტი,
- პულმონური ჰიპერტენზიასთან – პულმონური ჰიპერტენზია ანამნეზში,
- ანემიასთან – პულმონური ჰიპერტენზია ანამნეზში, გულის მანკი, ჰიდროტორაქსი ანამნეზში,
- ჰიდროტორაქსთან – ასაკი > 65 წ.მ გულის უკმარისობა, პულმონური ჰიპერტენზია ანამნეზში.

ცხრილი 3.2.5. კორელაციები COVID-19-ის გართულებებსა და ინიციალურ მახასიათებლებს შორის (3)

		ფ.ხ.ვ.	პლევრის დრენირება	კორონარული ანგიოპლასტიკა (სტენტირება)	ტრაქეოსტომია
65 წ.ს ზევით	r	.235**	.160**	0.102	-0.051
	p	0.000	0.009	0.096	0.404
ჩატარებული ქიმიო ან სხივური თერაპია	r	-0.052	-0.016	-0.008	-0.014
	p	0.396	0.796	0.891	0.822

გულის უკმარისობა	r	.211**	0.095	0.109	-0.082
	p	0.000	0.121	0.073	0.182
გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტი	r	.148*	-0.023	.265**	0.053
	p	0.015	0.713	0.000	0.388
პულმონური ჰიპერტენზია	r	.213**	-0.006	.147*	0.026
	p	0.000	0.918	0.016	0.671
არტერიული ჰიპერტენზია	r	.142*	0.046	0.050	0.027
	p	0.020	0.454	0.417	0.659
გულის მანკი	r	0.044	0.040	0.018	-0.006
	p	0.471	0.510	0.769	0.918
ჰიდროთორაქსი	r	.214**	0.112	0.055	-0.082
	p	0.000	0.067	0.365	0.179
თირკმლის უკმარისობა	r	0.103	0.034	-0.041	-0.067
	p	0.091	0.579	0.502	0.272

- ფ.ხ.ვ.-ს საჭიროებასთან სარწმუნო დადებით კორელაციას ავლენს: ასაკი 65 წ-ს ზევით, გულის უკმარისობა, გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტი, პულმონური ჰიპერტენზია, არტერიული ჰიპერტენზია და ჰიდროთორაქსი ანამნეზში.
- პლევრის დრენირება კორელირებს 65 წ.ს ზევით ასაკთან.
- COVID-19-ის დროს პაციენტზე ჩატარებული კორონარული ანგიოპლასტიკასთან (სტენტირება) კორელირებს – გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტი და პულმონური ჰიპერტენზია.

კვლევის მონაცემებით, COVID-19-ის გართულებები დაკავშირებულია პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებთან, კერძოდ,

- პულმონური ჰიპერტენზია ავლენს სარწმუნო დადებით კორელაციას გულის უკმარისობის ისტორიასთან და პულმონური ჰიპერტენზიის ანამნეზთან.
- 65 წელზე უფროსი ასაკი დაკავშირებულია დაუზუსტებელ შოკთან;

- კიდურის არტერიის ემბოლია დაკავშირებულია გადატანილ მიოკარდიუმის ინფარქტთან;
- მიოკარდიუმის ინფარქტი კორელაციაშია თირკმელების უკმარისობასთან, გადატანილ მიოკარდიუმის ინფარქტთან,
- თირკმელების უკმარისობა, სეპტიური შოკი – 65 წლის ზემოთ ასაკთან და ჰიდროთორაქსთან.
- ჰიპერგლიკემია დაკავშირებულია გულის უკმარისობასთან და გადატანილ მიოკარდიუმის ინფარქტთან,
- ანემია – გულის მანკთან,
- ჰიდროთორაქსი – არტერიულ ჰიპერტენზიასთან.

3.3. ლაბორატორიული მახასიათებლების შეფასება COVID-19-ის დროს დინამიკაში

COVID-19 დიაგნოზით კვლევაში ჩართულ პაციენტებში ლაბორატორიული მონაცემები შევისწავლეთ სამ ეტაპად -

- კლინიკაში შემოსვლისას
- შემოსვლიდან 5 დღის შემდეგ და
- 10 დღის შემდეგ.

ლაბორატორიული მონაცემები კვლევის სამივე ეტაპზე - კლინიკაში პაციენტის შემოსვლისას, შემოსვლიდან 5 დღის და 10 დღის შემდეგ მოცემულია 3.3.1. ცხრილში.

ცხრილი 3.3.1. ლაბორატორიული მონაცემები დინამიკაში

	შემოსვლისას		5 დღის შემდეგ		10 დღის შემდეგ		t (1-2)	p (1-2)	t (1-3)	p (1-3)
	Mean	Std. D.	Mean	Std. D.	Mean	Std. D.				
ჰემოგლობინი	125.25	20.88	119.02	29.61	114.90	21.85	3.60	0.0004	7.65	<0.0001
ერიტროციტი	4.23	0.68	4.08	2.17	3.84	0.75	1.08	0.2799	8.96	<0.0001
ჰემატოკრიტი	36.99	6.15	36.92	30.80	33.64	6.68	0.04	0.9709	7.90	<0.0001
თრომბოციტი	220.44	76.69	244.09	118.67	225.11	114.01	-3.53	0.0005	-0.91	0.3658
ლეიკოციტი	7.68	4.28	9.70	5.28	10.86	6.86	-5.93	<0.0001	-6.64	<0.0001
მიელოციტი	0.37	0.73	2.88	4.82	2.19	1.75	-4.18	0.0001	-9.69	<0.0001
მეტამიელოციტი	0.10	0.49	0.29	1.07	2.09	1.59	-2.58	0.0105	-7.10	<0.0001
ჩხირბირთვიანი	11.63	8.31	9.09	7.14	8.62	8.49	3.24	0.0015	3.63	0.0004
სეგმენტბირთვიანი	67.78	14.86	72.66	11.79	62.09	29.56	-4.25	<0.0001	2.18	0.0305
ეოზინოფილი	0.78	1.50	1.18	1.11	1.24	0.93	-2.57	0.0114	-3.32	0.0012
ბაზოფილი	0.19	0.22	0.49	0.87	0.47	0.80	-2.17	0.0363	-1.87	0.0695
ლიმფოციტი	14.37	11.79	11.73	10.81	11.73	10.81	2.90	0.0042	2.90	0.0042
მონოციტი	4.81	3.02	5.10	3.05	4.33	2.70	-1.06	0.2928	1.66	0.0988
ედსი1	51.28	27.76	54.10	32.16	45.00	33.27	-1.43	0.1549	2.75	0.0063

პროთრომბინის დრო	15.34	11.11	15.52	13.58	14.48	4.00	-0.17	0.8658	1.62	0.1059
პროთრომბინის ინდექსი	81.74	17.12	86.34	57.86	83.46	14.92	-1.29	0.1992	-0.88	0.3822
აქ. პარც. თრომბოპლ. დრო	32.77	38.39	30.67	18.79	30.34	13.47	0.78	0.4371	0.98	0.3265
ფიბრინოგენის რ-ბა	330.83	80.73	306.59	90.15	281.54	94.94	3.49	0.0006	6.14	<0.0001
INR	1.25	0.36	2.56	11.67	1.26	0.39	-1.79	0.0741	-0.71	0.4754
TT	27.04	23.63	30.37	15.25	32.90	17.03	-2.01	0.0451	-2.69	0.0076
ალბუმენი	28.00	5.94	20.98	10.15	20.98	10.15	2.35	0.1007	2.35	0.1007
შარდოვანა	7.87	8.79	8.32	7.54	8.32	7.54	-1.16	0.2474	-1.16	0.2474
კრეატინინი	96.71	61.85	99.10	90.53	99.10	90.53	-0.50	0.6153	-0.50	0.6153
გლიკემია	146.84	42.56	155.92	47.70	150.22	44.39	-4.56	<0.0001	-1.22	0.2241
საერთო ბილირუბინი	11.38	11.76	13.10	25.52	12.86	9.61	-1.67	0.0954	-4.57	<0.0001
პირდაპირი ბილირუბინი	4.60	3.77	5.40	5.70	5.40	5.70	-2.42	0.0163	-2.42	0.0163
არაპირდაპირი ბილირუბინი	6.42	5.91	7.39	6.66	7.39	6.66	-3.52	0.0005	-3.52	0.0005
ALT	34.56	36.78	37.21	27.40	39.27	22.72	-1.45	0.1490	-3.39	0.0008

AST	44.97	43.25	44.12	29.30	45.18	28.45	0.36	0.7178	-0.81	0.4160
GGT	69.74	103.43	81.89	131.00	75.44	54.52	-2.01	0.0454	-1.82	0.0693
ALP	96.25	112.27	99.16	109.03	94.05	39.90	-0.66	0.5111	-0.25	0.7992
CRP	96.69	75.00	70.31	70.82	67.41	75.57	4.35	<0.0001	4.77	<0.0001
PCT	1.13	2.84	1.56	4.28	1.56	4.28	-1.22	0.2224	-1.22	0.2224
D-dimer	2391.08	4640.91	3067.21	7948.62	1870.39	3001.52	-1.22	0.2238	1.59	0.1135
LDH	671.32	374.88	715.26	316.08	727.84	537.36	-1.69	0.0927	-1.30	0.1941
Ferritin	335.28	331.25	472.39	454.94	476.21	502.33	-5.01	<0.0001	-4.53	<0.0001
Tropinin I	0.18	1.11	0.08	0.43	0.08	0.43	1.30	0.1980	1.30	0.1980
Na	140.33	4.92	141.21	8.64	143.02	19.23	-1.50	0.1350	-2.18	0.0302
K	3.66	0.56	3.84	0.53	3.90	0.70	-4.22	<0.0001	-4.97	<0.0001
Ca	0.89	0.14	1.66	8.23	0.90	0.18	-1.50	0.1343	-0.83	0.4054
Lac	1.67	1.34	1.37	0.62	2.23	2.80	3.42	0.0007	-2.90	0.0040
pH	7.41	0.08	7.38	0.20	7.38	0.10	1.88	0.0613	3.12	0.0020
pCO2	38.54	26.65	38.72	10.91	38.35	10.98	-0.11	0.9135	0.02	0.9839
pO2	72.91	29.08	83.63	53.23	80.97	30.78	-3.04	0.0026	-3.34	0.0010
HCO3	25.89	10.81	27.88	24.16	26.11	17.10	-1.23	0.2196	-0.28	0.7835
SO2	88.85	11.89	95.55	56.22	90.77	13.29	-1.82	0.0705	-1.72	0.0865

კვლევის მონაცემების თანახმად, პაციენტთა მკურნალობის შედეგად ჰემოგლობინის, ეოზინოფილის, ბაზოფილის, ლიმფოციტების საშუალო მნიშვნელობა სარწმუნოდ მცირდება - შემოსვლისას სარწმუნოდ მეტია, ვიდრე ლაბორატორიული კვლევების II და III ეტაპზე.

აღსანიშნავია, რომ ლეიკოციტის, მიელოციტის, მეტამიელოციტის, ეოზინოფილის, ბაზოფილის, ლიმფოციტის, TT-ს, არაპირდაპირი ბილირუბინის, ლიმფოციტების, და pO₂-ს საშუალო მნიშვნელობა სარწმუნოდ იზრდება - შემოსვლისას სარწმუნოდ ნაკლებია, ვიდრე ლაბორატორიული კვლევების II და III ეტაპზე.

კვლევის შემდეგ ეტაპზე შევისწავლეთ კავშირი ბიოქიმიურ მახასიათებლებს შორის (ცხრილი 3.3.2)

ცხრილი 3.3.2. კავშირი ბიოქიმიურ მახასიათებლებს შორის 10 დღის შემდეგ

		CRP	PCT	D-dimer	LDH	Ferritin	საერთო ბილირუბინი	კრეატინინი
PCT	r	.423**	-	-	-	-	-	-
	p	0.000	-	-	-	-	-	-
	N	178	-	-	-	-	-	-
D-dimer	r	.373**	.151*	-	-	-	-	-
	p	0.000	0.038	-	-	-	-	-
	N	227	190	-	-	-	-	-
LDH	r	.347**	.199**	.214**	-	-	-	-
	p	0.000	0.005	0.000	-	-	-	-
	N	231	194	264	-	-	-	-
Ferritin	r	.268**	.147*	0.113	.335**	-	-	-
	p	0.000	0.044	0.070	0.000	-	-	-
	N	225	189	259	262	-	-	-
საერთო ბილირუბინი	r	0.066	-0.062	0.004	0.072	0.109	-	-
	p	0.319	0.393	0.944	0.242	0.079	-	-
	N	230	193	264	267	261	-	-
კრეატინინი	r	.436**	.284**	.206**	.338**	.170**	0.029	-
	p	0.000	0.000	0.001	0.000	0.006	0.635	-
	N	231	194	265	268	262	268	-
შარდოვანა	r	.401**	.212**	.164**	.404**	.186**	.162**	.836**
	p	0.000	0.003	0.008	0.000	0.003	0.008	0.000
	N	229	192	263	266	260	266	267

CIVID-19-ის დროს სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს:

- CRP-სთან – PCT, D-dimer, LDH, Ferritin, კრეატინინი და შარდოვანა;
- PCT-სთან – D-dimer, LDH, Ferritin, კრეატინინი და შარდოვანა;
- D-dimer-თან – LDH, კრეატინინი და შარდოვანა;
- LDH-თან – კრეატინინი, შარდოვანა და ფერიტინი;
- ფერიტინთან – კრეატინინი და შარდოვანა;
- საერთო ბილირუბინთან და კრეატინინთან – შარდოვანა.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ CIVID-19-ის დროს ბიოქიმიური მახასიათებლების ცვლილებები ურთიერთკავშირში არიან.

3.4. ლეტალობის ფაქტორების შეფასება პაციენტის ინიციალური მახასიათებლების მიხედვით

ლეტალობის ფაქტორების შესაფასებლად კვლევაში ჩართული პაციენტები გამოსავლის შედეგის მიხედვით გავყავით ორ ჯგუფად:

- 1 ჯგუფი – ლეტალური შედეგით,
- 2 ჯგუფი – გაუმჯობესება/გამოჯანმრთელება.

3.4.1 ცხრილში მოცემულია პაციენტთა განაწილება დემოგრაფიული მახასიათებლებისა და მავნე ჩვევების მიხედვით.

ცხრილი 3.4.1.

		ლეტალობა		გამოჯანმრ- თელება /გაუმჯობესება		F	P
		n	%	n	%		
სქესი	მდედრობითი	59	55.14	92	56.44	0.04	0.8339
ასაკი	65 წელს ზევით	86	80.37	90	55.21	19.16	<0.0001
მავნე ჩვევები	ნიკოტინი	28	26.17	49	30.06	0.48	0.4901
	ალკოჰოლი	5	4.67	3	1.84	1.80	0.1807
	ნარკოდამოკი- დე ბულება	0	0.00	1	0.61	0.66	0.4188

როგორც ცხრილიდან ჩანს, სქესის მიხედვით განსხვავება არ გამოვლინდა, ლეტალობის ჯგუფში სრწმუნოდ მაღალია 65 წელზე უფროსი პაციენტების სიხშირე.

მნიშვნელოვანია განსხვავება თანმხლები დაავადებების მონაცემების მიხედვით (ცხრილი 3.4.2).

ცხრილი 3.4.2. ლეტალობის შეფასება თანდართული დაავადებების მიხედვით

ფაქტორები		ლეტალობა		გამოჯანმრთელება/გაუმჯობესება		F	P
		n	%	n	%		
კარდიოლოგიური დაავადებები	გულის უკმარისობა	58	54.21	54	33.13	12.27	0.0005
	გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტი	31	28.97	26	15.95	6.69	0.0102
	პულმონური ჰიპერტენზია	35	32.71	17	10.43	22.16	<0.0001
	არტერიული ჰიპერტენზია	102	95.33	137	84.05	8.27	0.0043
	სტენოკარდია	19	17.76	17	10.43	3.01	0.0838
	გულის მანკი	44	41.12	48	29.45	3.95	0.0480
	არიტმია	31	28.97	37	22.70	1.35	0.2471
	კარდიომიოპათია	11	10.28	11	6.75	1.07	0.3012
	სითხე პერიკარდიუმის ღრუში	10	9.35	12	7.36	0.34	0.5617
ნევროლოგიური დაავადებები	გადატანილი ინსულტი	13	12.15	18	11.04	0.08	0.7812
	სხვა ნევროლოგიური პათოლოგიები (ნეიროპათია)	2	1.87	2	1.23	0.18	0.6706
	ტრანზიტორული იშემიური შეტევა	4	3.74	6	3.68	0.00	0.9806

	თავის მძიმე ტრავმა	1	0.93	2	1.23	0.05	0.8234
	ეპილეფსია	3	2.80	4	2.45	0.03	0.8602
	დემენცია	19	17.76	24	14.72	0.44	0.5071
	ალცჰაიმერი	0	0.00	0	0.00		
პულმონოლოგიური/ფთიზიატრიული დაავადებები	გადატანილი პნევმონია	18	16.82	45	27.61	4.23	0.0406
	გადატანილი TBC	1	0.93	5	3.07	1.35	0.2465
	ფქოდი	13	12.15	23	14.11	0.21	0.6444
	გადატანილი ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია	0	0.00	4	2.45	2.67	0.1033
	ჰიდროთორაქსი	37	34.58	26	15.95	13.04	0.0004
	ბრონქული ასთმა	1	0.93	1	0.61	0.09	0.7645
	ფილტვის აბსცესი	0	0.00	0	0.00		
	პლევრიტი	1	0.93	0	0.00	1.53	0.2177
ენდოკრინული დაავადებები	შაქრიანი დიაბეტი	34	31.78	50	30.67	0.04	0.8491
	სიმსუქნე	7	6.54	21	12.88	2.80	0.0953
	ჰიპოთორეოზი ან ჩიყვი	5	4.67	17	10.43	2.87	0.0914
გასტროენტეროლოგიური დაავადებები	კუჭის ან თორმეტგოჯას წყლულოვანი პათოლოგია	9	8.41	7	4.29	1.96	0.1623

	საყლაპავის ვენების ვარიკოზი	0	0.00	0	0.00		
	გასტრიტი /ეროზია	10	9.35	13	7.98	0.15	0.6945
	ნაღველკენჭოვანი დაავადება	1	0.93	5	3.07	1.35	0.2465
	პანკრეატიტი	0	0.00	0	0.00		
ფსიქიატრიული დაავადებები	შიზოფრენია	0	0.00	1	0.61	0.66	0.4188
	ნერვული აშლილობა	0	0.00	0	0.00		
ჰეპატოლოგიური დაავადებები	ჰეპატიტი C	1	0.93	10	6.13	4.51	0.0346
	ჰეპატიტი B	1	0.93	3	1.84	0.36	0.5485
	ღვიძლის ქრონიკული უკმარისობა	1	0.93	0	0.00	1.53	0.2177
	ღვიძლის ციროზი	2	1.87	3	1.84	0.00	0.9864
ანგიოლოგიური დაავადებები	ქვ.კიდურების სისხლძარღვების ვარიკოზები	13	12.15	15	9.20	0.60	0.4391
	სადილე არტერიების ოკლუზია ან სტენოზი	1	0.93	5	3.07	1.35	0.2465
	გულმკერდის აორტის ანევრიზმა	0	0.00	0	0.00		
	მუცლის აორტის ანევრიზმა	1	0.93	2	1.23	0.05	0.8234
ნეფროლოგიური დაავადებები	თირკმლის უკმარისობა	13	12.15	9	5.52	3.82	0.0518
	შარდკენჭოვანი დაავადება	1	0.93	3	1.84	0.36	0.5485

	თირკმლის ამილოიდოზი	0	0.00	0	0.00		
ონკოლოგიური პათოლოგიები	გასტროინტესტინური ტრაქტი (კუჭი, საყლაპავი, ნაწლავი)	1	0.93	3	1.84	0.36	0.5485
	თავის ტვინის	1	0.93	0	0.00	1.53	0.2177
	ფილტვის/შუასაყრის	1	0.93	4	2.45	0.82	0.3669
	ღვიძლის	0	0.00	1	0.61	0.66	0.4188
	პანკრეასის	0	0.00	2	1.23	1.32	0.2517
	სარძევე ჯირკვლის	3	2.80	9	5.52	1.12	0.2909
	ფარისბრი ჯირკვლის	1	0.93	1	0.61	0.09	0.7645
	საშვილოსნოს	2	1.87	7	4.29	1.18	0.2792
	პროსტატის	2	1.87	6	3.68	0.73	0.3923
	თირკმლის	0	0.00	0	0.00		
	კანის და რბილი ქსოვილების	0	0.00	0	0.00		
	ონკოჰემატოლოგია	0	0.00	2	1.23	1.32	0.2517
	ჩატარებული ქიმიო ან სხივური თერაპია	ჩატარებული ქიმიო ან სხივური თერაპია	2	1.87	8	4.91	1.67
ჰემატოლოგიური დაავადებები	ანემია	17	15.89	22	13.50	0.30	0.5863
	კოაგულოპათია	1	0.93	5	3.07	1.35	0.2465

კვლევაში ჩართული პაციენტების ორივე ჯგუფში მაღალია იმ პაციენტთა სიხშირე, რომლებსაც ანამნეზში აღენიშნებოდათ კარდიოლოგიური დაავადებები.

მათგან ლეტალური გამოსავლის ჯგუფში სარწმუნოდ მაღალია: გულის უკმარისობის, გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტის, პულმონური ჰიპერტენზიის, არტერიული ჰიპერტენზიის, გულის მანკის სიხშირე, არასარწმუნოდ მეტია – სტენოკარდია.

ლეტალობის ჯგუფში სარწმუნოდ დაბალია განდევნის ფრაქციის საშუალო მნიშვნელობა გადარჩენილებთან შედარებით, შესაბამისად – $EF\% = 50.85 \pm 8.57$, $- 48.28 \pm 9.45$ ($t=2.31$; $p=0.0216$).

პულმონოლოგიური დაავადებებიდან ანამნეზში პრევალირებდა ფქოდი, და ჰიდროთორაქსი. ამასთან, ჰიდროთორაქსის სიხშირე მაღალი იყო ლეტალობის ჯგუფში.

ენდოკრინული პათოლოგიებიდან ორივე ჯგუფში გამოიკვეთა დიაბეტის თანაბრად მაღალი სიხშირე. (30%-ზე მეტი) აღსანიშნავია ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებისა და სიმსუქნის არასარწმუნო პრევალირება ლეტალობის ჯგუფში, თირკმლის დაავადებებიდან არასარწმუნოდ მეტია თირკმლის უკმარისობა.

სარწმუნო განსხვავება არ დაფიქსირდა ონკოლოგიური და ნევროლოგიური დაავადებების, აგრეთვე გასტროენტეროლოგიური, ფსიქიატრიული და ჰეპატოლოგიური დაავადებების მიხედვით.

გადატანილი ოპერაციები და მანიპულაციები მოცემულია 3.4.4. ცხრილში.

ცხრილი 3.4.4. გადატანილი ოპერაციები და მანიპულაციები

ფაქტორები	ლეტალობა		გამოჯანმრთელება / გაუმჯობესება		F	P
	n	%	n	%		

ჩატარებული ოპერაციები	აორტოკორონარული შუნტირება	11	10.28	8	4.91	2.86	0.0920
კარდიოლოგია	კორონარული ანგიოპლასტიკა	18	16.82	19	11.66	1.45	0.2288
	სარქვლის პროტეზირება	1	0.93	1	0.61	0.09	0.7645
პულმონო- ლოგია	ლობექტომია	0	0.00	3	1.84	1.99	0.1594
ნეირო- ქირურგია	ქალა-სარქვლის ტრეპანაცია	1	0.93	3	1.84	0.36	0.5485
	ვენტრიკულოპერიტო ნეალური შუნტირება	0	0.00	0	0.00		
ენდოკრინო- ლოგია	სტრუმექტომია	1	0.93	3	1.84	0.36	0.5485
	ფარისებრი ჯირკვლის რეზექცია	0	0.00	3	1.84	1.99	0.1594
ქირურგია	კუჭის რეზექცია	3	2.80	5	3.07	0.02	0.9010
	ნაწლავის რეზექცია	3	2.80	2	1.23	0.88	0.3491
	ქოლეცისტექტომია	6	5.61	9	5.52	0.00	0.9760
	აპენდექტომია	4	3.74	7	4.29	0.05	0.8219
	თიაქარკვეთა/ პლასტიკა	5	4.67	2	1.23	3.05	0.0819
	ჩატარებული მასტექტომია	1	0.93	5	3.07	1.35	0.2465
	ჰისტერექტომია	7	6.54	8	4.91	0.33	0.5681
	ბარიატრიული ქირურგია	0	0.00	1	0.61	0.66	0.4188
	ნეფრექტომია	0	0.00	1	0.61	0.66	0.4188
	სპლენექტომია	0	0.00	2	1.23	1.32	0.2517
	სისხლძარღვებზე ჩატარებული	4	3.74	4	2.45	0.37	0.5444

	ოპერაციული ჩარევები						
	ტრავმატოლოგიური ოპერაციები	8	7.48	6	3.68	1.89	0.1701
ჩატარებული ვაქცინაციები	ჩატარებული ვაქცინაციები	2	1.87	4	2.45	0.10	0.7509

ლეტალობის ჯგუფში არასარწმუნოდ სარწმუნოდ მეტია აორტოკორონარული შუნტირება და კორონარული ანგიოპლასტიკა.

კვლევის მონაცემებით დადასტურდა, რომ COVID-19-ის დროს ჰოსპიტალურ ლეტალობაზე გავლენას ახდენს პაიენტის ინიციალური მახასიათებლები: მავნე ჩვევები და თანმხლები დაავადებები.

კვლევის შემდეგ ეტაპზე მოვახდინეთ მკურნალობის გართულებების შედარება ორივე ჯგუფში (ცხრილი 3.4.5.)

ცხრილი 3.4.5. მკურნალობის პერიოდის გართულებები

ფაქტორები	ლეტალობა		გამოჯანმრთელება /გაუმჯობესება		F	P
	N	%	n	%		
ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია	13	12.15	12	7.36	1.76	0.1857
სუნთქვის მწვავე უკმარისობა	106	99.07	161	98.77	0.05	0.8234
შოკი დაუზუსტებელი	29	27.10	4	2.45	42.00	<0.0001
ქვემო ან ზემო კიდურების არტერიის ემბოლია	4	3.74	0	0.00	6.28	0.0128
მეზენტერიალური არტერიის თრომბოზი	0	0.00	0	0.00	-	-
მიოკარდიუმის ინფარქტი	10	9.35	3	1.84	8.12	0.0047

სითხე პერიკარდიუმის ღრუში	5	4.67	8	4.91	0.01	0.9300
პარკუჭთა ფიბრილაცია	0	0.00	0	0.00		
მოციმციმე არითმია	0	0.00	1	0.61	0.66	0.4188
იშემიური ინსულტი	2	1.87	6	3.68	0.73	0.3923
სპონტანური ჰემორაგიული ინსულტი	4	3.74	1	0.61	3.49	0.0629
ღვიძლის მწ.უკმარისობა	3	2.80	3	1.84	0.27	0.6010
თირკმლის მწ.უკმარისობა	29	27.10	3	1.84	45.87	<0.0001
ბაქტერიული პნევმონია	96	89.72	146	89.57	0.00	0.9688
სეფსისი სეპტიური შოკი	59	55.14	7	4.29	134.94	<0.0001
გასტროდუოდენალური სისხლდენა	8	7.48	1	0.61	9.71	0.0020
ჰიპერგლიკემია	6	5.61	2	1.23	4.35	0.0380
ციტოკინური შტორმი	38	35.51	47	28.83	1.33	0.2493
საშარდე გზების ინფექცია	29	27.10	46	28.22	0.04	0.8417
პულმონური ჰიპერტენზია	7	6.54	2	1.23	5.74	0.0173
რესპირატორული დისტრესი	72	67.29	108	66.26	0.03	0.8610
ანემია	30	28.04	18	11.04	13.30	0.0003
კოაგულოპათია	10	9.35	3	1.84	8.12	0.0047
სპონტანური პნევმოთორაქსი	4	3.74	0	0.00	6.28	0.0128
ჰიდროთორაქსი	47	43.93	39	23.93	12.36	0.0005
ემფიზემა (კანქვეშა)	3	2.80	1	0.61	2.12	0.1462
პნევმომედიასტინიტი	3	2.80	1	0.61	2.12	0.1462
ენცეფალოპათია (დაუზუსტებელი)	8	7.48	10	6.13	0.19	0.6669
ნაწოლები	1	0.93	2	1.23	0.05	0.8234
ლარინგიტი, ტრაქეიტი	0	0.00	1	0.61	0.66	0.4188

ანტიკოაგულანტის ფონზე განვითარებული რბილი ქსოვილების ჰემატომა	2	1.87	4	2.45	0.10	0.7509
---	---	------	---	------	------	--------

როგორც ცხრილიდან ჩანს, კვლევაში ჩართულ პაციენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას ჰქონდა სუნთქვის მწვავე უკმარისობა (98% და მეტი), რესპირატორული დისტრესი (66% და მეტი) და ციტოკინური შტორმი (28% და მეტი).

შედარებამ ლეტალურ გამოსავალსა და გამოჯანსაღებულ პაციენტებს შორის აჩვენა, რომ პაციენტთა შორის სარწმუნო განსხვავებაა შემდეგი გართულებების მიხედვით:

დაუზუსტებელი შოკი, ქვემო ან ზემო კიდურების არტერიის ემბოლია, მიოკარდიუმის ინფარქტი, თირკმლის მწვავე უკმარისობა, გასტროდუოდენალური სისხლდენა, ჰიპერგლიკემია, პულმონური ჰიპერტენზია, ანემია, კოაგულოპათია, სპონტანური პნევმოთორაქსი, ჰიდროთორაქსი.

COVID 19-ის მკურნალობის დროს ჩატარებული მანიპულაციები და ოპერაციები მოცემულია 3.4.6 ცხრილში.

ცხრილი 3.4.6. მკურნალობის პერიოდის ჩატარებული მანუპულაციები და ოპერაციები

ფაქტორები	ლეტალობა (107)		გამოჯანმრ- თელება /გაუმჯობესება (163)		F	p
	n	%	n	%		
პლევრის დრენირება	12	11.21	5	3.07	7.41	0.0069
ფ.ხ.ვ.	98	91.59	16	9.82	510.58	<0.0001
მაღალნაკადური ოქსიგენაცია HF	95	88.79	154	94.48	2.93	0.0881
არაინვაზიური CPAP	96	89.72	151	92.64	0.70	0.4027
კორონაროგრაფია	8	7.48	4	2.45	3.86	0.0504
ჩატარებული კორონარული ანგიოპლასტიკა (სტენტირება)	5	4.67	0	0.00	7.93	0.0052
ინტრაცერებრული ჰემატომის ევაკუაცია	1	0.93	0	0.00	1.53	0.2177
დეკომპრესიული ტრეპანაცია	0	0.00	0	0.00		
ჰემოდიალიზი	2	1.87	0	0.00	3.08	0.0803
შუასაყრის დრენირება	0	0.00	0	0.00		
ლაპარატომია	1	0.93	1	0.61	0.09	0.7645
კიდურების ამპუტაცია	0	0.00	0	0.00		
ჩატარებული ჰემოტრანსფუზია	25	23.36	11	6.75	16.25	0.0001
ქოლეცისტექტომია	0	0.00	1	0.61	0.66	0.4188
ნაწლავის რეზექცია	1	0.93	0	0.00	1.53	0.2177
ტრაქეოსტომია	10	9.35	3	1.84	8.12	0.0047

ბრონქოსკოპია	43	40.19	10	6.13	57.18	<0.0001
ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია - ლიგირება/აპლიკაცია	6	5.61	2	1.23	4.35	0.0380
თიაქარკვეთა/პლასტიკა	1	0.93	0	0.00	1.53	0.2177

მაღალნაკადური ოქსიგენაცია HF და არაინვაზიური CPAP დასჭირდა პაციენტთა უმრავლესობას ორივე ჯგუფში. ფხვ-ს და პლევრის დრენირების სიხშირე სარწმუნოდ მაღალი იყო ლეტალობის ჯგუფში, ისევე როგორც კორონაროგრაფია, ჩატარებული კორონარული ანგიოპლასტიკა (სტენტირება), ჩატარებული ჰემოტრანსფუზია, ტრაქეოსტომია, ბრონქოსკოპია, ეზოფაგო-გასტროდუოდენოსკოპია – ლიგირება/აპლიკაცია.

3.5. ლეტალობის ლაბორატორიული მახასიათებლების შეფასება

ლაბორატორიული მონაცემების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ჰოსპიტალურ ეტაპზე მნიშვნელოვანია ანთებითი მარკერები და ანემიის მაჩვენებლები (ცხრილი 3.5.1)

ცხრილი 3.5.1. ლაბორატორიული მონაცემების შეფასება COVID 19-ის მქონე პაციენტებში.

ლაბორატორიული მახასიათებლები	ლაბორატორიული ნორმები	ლეტალობა (0), გადარჩენა (1)	N	Mean	St. Dev.	T	P
ჰემოგლობინი	HB(g/l)(120.0 - 155.0)	0	107	106.67	24.03	-5.26	<0.0001
		1	162	120.34	18.43		
